# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 22 მარტი, 2012 წელი.

№55 (6932)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

# მივდივართ ჯოჯოხეთისკენ!



საკუთარ ქვეყანაში გადაწყვეტილებებს ჩვენ თვითონ ვიღებთ – ერთმნიშვნელოვნად თქვა მიშამ და თავის მლიქვნელ, ქლესა, ქერის ორმოში მჯდარ თანამოაზრეებს ხელი აუქნია: მარტო მე ვერას გავხდები, თქვენც მეტი უნდა იაქტიუროთ, თორემ დედას გიტირებთო!

2

კოალიცია „ქართული ოცნების“ განცხადება

## ასეთი განცხადებები გამოწვეულია მხოლოდ არჩევნებში ნაციონალური მოძრაობის გარდაუვალი დამარცხების შიშით

**პოლიტიკური** კოალიცია „ქართული ოცნების“ პოლიტიკური საქმიანობის გააქტიურებასთან ერთად სულ უფრო იზრდება ხელისუფლების ზღვარგადასული და გაუგონარი რიტორიკა. ხელისუფლება კარგად ხვდება, რომ მისი ძალაუფლებაში ყოფნა დასასრულს უახლოვდება და აგონიაშია ჩავარდნილი. სხვა რა შეიძლება ეწოდოს მიხეილ სააკაშვილის მხრიდან საქართველოს სტრატეგიული და პარტნიორი ქვეყნების საელჩოების მიმართ გაკეთებულ ყოვლად შეურაცხმყოფელ და უპასუხისმგებლო განცხადებებს, რომლებსაც ახლა უკვე ერთმანეთის მიყოლებით, დიდი მონდომებით აგრძელებენ ხელისუფლების სხვადასხვა შტოს წარმომადგენლები და სახელისუფლებო ექსპერტები.

კოალიცია „ქართული ოცნება“ კატეგორიულად აცხადებს, რომ სააკაშვილისა და მისი წარმომადგენლების მხრიდან გაკეთებული მსგავსი შინაარსის განცხადებები უკვე სცილდება მმართველი გუნდის პოლიტიკურ ინტერესს, სახელმწიფოებთან ურთიერთობის ცივილიზებულ ფორმებს და საშიშ ტენდენციას იღებს. ასეთ განცხადებებს არაფერი აქვს საერთო ეროვნულ თავმოყვარეობასთან და გამოწვეულია მხოლოდ საპარლამენტო არჩევნებში ნაციონალური მოძრაობის გარდაუვალი დამარცხების შიშით.

## როგორ „მოიტყუანა“ სააკაშვილმა ტექნიკურ უნივერსიტეტში გაზაფხული

3



## შეიარაღებულ ფორმირებებში შემავალი ადამიანები უკვე ღიად გამოჩნდნენ

4

## ქართველმა მუსლიმანმა მამულიშვილებმა ხელისუფლება გააშიშვლეს!

6

## ციხის საკნიდან- პოლიტიკურ ორომტრიალში?!



## რატომ ცდილობენ ლოთი ქობალიას რეაბილიტაციას?

8

გაუტიეს!

# მივდივართ ჯოჯოხეთისკენ!





**საააკაშვილი და ნაციონალები დასავლური ღირებულებების უნიჭო იმიტატორები არიან!**

**პროვინციული იმიტაცია იყო „ვარდების რევოლუციაც", მაგრამ ის იმიტომ განხორციელდა, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა შევარდნაძის ხელისუფლების შეცვლას დაუჭირა მხარი.**

აკი, თვით მრავალჭირგადანახადმა ედუარდ შევარდნაძემაც „პრინციპულად" აღიარა: ამერიკას შეეშინდა პრეზიდენტობაზე მესამე ვადითაც არ მეყარა კენჭი და ახალგაზრდობას (ზურაბ ჟვანია, ნინო ბურჯანაძე, მიხეილ სააკაშვილი) დაუჭირა მხარი.

იქიდან მოყოლებული, ამერიკა გამორჩეულ „მეგობრობას" იჩენს „გაბედული, ქარიზმული, უშიშარი" მიხეილ სააკაშვილის მიმართ. განსაკუთრებით პრეზიდენტი ჯორჯ ბუში (შვილივით დაუძმაკაცდა მიშას და „დემოკრატიის შუქურა" უწოდა მას.

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, ჩვენი ემოციური და არაადეკვატური პრეზიდენტი თვალში აღარ მოსდით მთელ დასავლეთში! საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ „მადლობა გადაუხადა" მიშას და ხელისუფლების დემოკრატიულად, სამართლიანი არჩევნების გზით გადაბარება ურჩია.

— ამერიკელი მეგობრების რჩევა კარგია, მაგრამ საკუთარ ქვეყანაში გადაწყვეტილებებს ჩვენ თვითონ ვიღებთ — ერთმნიშვნელოვნად თქვა მიშამ და თავის მლიქვნელ, ქლესა, ქერის ორმოში მჯდარ თანამოაზრეებს ხელი აუქნია: მარტო მე ვერას გავხდები, თქვენც მეტი უნდა იაქტიუროთ, თორემ დედას გიტირებთო!

დაიწყო მაგრამ, რა დაიწყო, — ნაციონალი დეპუტატები აკაკი ბობოხიძე, ნუგზარ წიკლაური, პეტრე ცისკარიშვილი, გოკა გაბაშვილი, გიგი წერეთელი, შოთა მალაშხია, აკო მინაშვილი... თითქმის მთელი უმრავლესობა გადაერთო ამერიკისა და ევროპის, საქართველოს მეგობარი ქვეყნების დიპლომატიური კორპუსის შეფარვით ლანძღვაზე.

გაგულისებული, გაყეყეჩებული და პოლიტიკურად ბეცი ნაციონალები განსაკუთრებით აღაშფოთა ამერიკის ელჩის ჯონ ბასის ერთმა უპრეტენზიო განცხადებამ: **საქართველოს კონტროლის პალატის ბოლოდროინდელი მოქმედებები დემოკრატიის პრინციპებს არ ექვემდებარება, ამ უწყებაში კარგად არ იციან პასუხისმგებლობისა და უფლებამოსილების შეთავსება, კანონი ყველაზე კარგად სწორედ კონტროლის პალატაში უნდა იყოს დაცული და საზოგადოებას მუდამ სწორი ინფორმაცია უნდა მიაწოდოსო!**

მოგეხსენებათ, საქმე შეეხება „მოქალაქეთა გაერთიანებების შესახებ კანონს", პოლიტიკური გაერთიანებების ფინანსური მონიტორინგის პრობლემას და ძირითადად, კოალიცია „ქართული ოცნების" შემქმნელის, დიდი ქველმოქმედისა და მამულიშვილის ბიძინა ივანიშვილის ოლიმპიური სიმშვიდის დარღვევას! მიშა და ნაციონალები ნამეტნავად ნერვიულობენ, იქნებ მოვახერხოთ ბიძინას წონასწორობიდან გამოყვანა, ფულები ავცინცლოთ, მხარდამჭერები დავუშინოთ და „ქართული ოცნების" ლიდერი ქვეყნისთვის საშიშ პიროვნებად წარმოვაჩინოთო!

დღეს მთელი საქართველო იცინის, ნაციონალებმა ქერათმიანი ვამპირის ნათია მოგელაძის სამსახური „ქართული ოცნების" გასაშიფრად შექმნესო.

ხალხი იმაზეც მწარედ იცინის, რასაც ზემოთ დასახელებული პოლიტიკოსები ჯონ ბასის თვალთახედვისა და საერთოდ, თბილისში განთავსებული საელჩოების გამო ბჟუტურობენ!

**აკაკი ბობოხიძე: ვინ არის ჯონ ბასი, რომ მისი გაღიზიანება ჩვენთვის შემაშფოთებელი იყოს? ან რატომაა აშშ-ის ელჩი უფრო მნიშვნელოვანი ფიგურა, ვიდრე თუნდაც საქართველოში რუმინეთის ელჩი? ამერიკის ელჩი საქართველოს ხელისუფლებას დირექტივას ვერ მისცემს, მაგრამ თუ მაინც აძლევს ასეთ დირექტივას და ხელისუფლება იღებს, მე ასეთი არც ხელისუფლება მინდა და არც ელჩი... ჩვენთვის გადამწყვეტია საქართველოს კანონმდებლობა და კონსტიტუცია...**

**პეტრე ცისკარიშვილი: აკაკი ბობოხიძე საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარეა, მას არც ერთი ქვეყნის ელჩის შესახებ ცუდი რამ არ უთქვამს. დასავლეთთან ურთიერთობაში ჩვენ არაფერი გვეშლება, ეს ოპოზიციის მოლანდებებია...**

**შოთა მალაშხია: ამერიკა რჩება საქართველოს სტრატეგიულ პარტნიორად, მაგრამ კონკრეტული საკითხების გადაწყვეტისას პრიორიტეტებს ქართული მხარე განსაზღვრავს. ყველას აქვს საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება, მათ შორის ელჩებს, მაგრამ, მოხდება თუ არა გათვალისწინება, ეს იმაზეა დამოკიდებული, რამდენად ჩათვლის საჭიროდ ამას ქართული მხარე.**

და ასე შემდეგ, და ასე შემდეგ...

აქვე მკითხველს იმასაც შევახსენებთ, რომ მიხეილ სააკაშვილმა, 19 მარტს, სტუდენტებთან შეხვედრისას გამომწვევად თქვა: **საელჩოებში ვიზის მისაღებად მისულ ჩვენს მოქალაქეებს ცუდად ეპყრობიან, ამცირებენ, ზევიდან უყურებენ, ახვეწნინებენ და თვითონ სიამოვნებას ღებულობენ. ეს არის ბიუროკრატიის ინსტიტუტი, რომელიც საქართველოში ძვალსა და რბილში იყო გამჯდარი, თუმცა აღნიშნული მენტალიტეტი ჩვენ შევცვალეთ...**

არადა, თუ ვინმე წლების განმავლობაში აკრიტიკებდა საელჩოებში მომსახურების დონეს, ეს ქართული ოპოზიცია იყო. აქამდე ოპოზიციის ამ შენიშვნებზე ხელისუფლებას ყურიც არ შეუბერტყავს, ახლა კი, რა ხდება?

ცხადზე უცხადესია, რომ სააკაშვილი დასავლეთიდან, უპირველეს ყოვლისა კი ამერიკის შეერთებული შტატებიდან დიდ მხარდაჭერას არ ელოდება და... ჩვეულებისამებრ, ანტისახელმწიფოებრივად, არადიპლომატიურად, ტრადიციულ სისულელეებს აფრქვევს.

ბუნებრივია, მას ცნობილი „ყორი", წინა ხაზის შემტევი ნაციონალი აკაკი ბობოხიძე და ძმანი მისნი უჭერენ მხარს.

ისე, მართლაც ახია, ასეთი სახელმწიფო უზარმაზარი პოლიტიკური და რელიგიური გამოწვევების პირისპირ მარტოდმარტო დარჩეს!

ნაციონალებს სწორედ აქეთკენ, ანუ ჯოჯოხეთისკენ მიჰყავთ ჩვენი ბედკრული სამშობლო!

სპარტაკ ქობულია

სტრასბურგი

## მუშაობა დაიწყო ევროპის საბჭოს ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების კონგრესის 22-ე სესიამ

**სტრასბურგში გაიხსნა ევროპის საბჭოს ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების კონგრესის 22-ე სესია. მასში მონაწილეობას ღებულობს ევროპის საბჭოს 47 წევრი ქვეყნის 300-ზე მეტი რეგიონული დელეგაცია. ისინი განიხილავენ ადგილობრივ დონეზე დემოკრატიის განვითარების აქტუალურ საკითხებს. კერძოდ ფინანსური კრიზისის შედეგებს და მის გავლენას ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოების საქმიანობაზე.**

კონგრესის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად სტრასბურგში იმყოფება საქართველოს დელეგაცია, რომლის შემადგენლობაშიც არიან: დავით ჭიჭინაძე — დელეგაციის ხელმძღვანელის მოადგილე, წალენჯიხის საკრებულოს წევრი; მამუკა აბულაძე — ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაციის პრეზიდენტი, რუსთავის საკრებულოს წევრი; პეტრე ზამბახიძე — აჭარის უზენაესი საბჭოს დეპუტატი; გიორგი ტყემალაძე და სევდია უგრეხელიძე — თბილისის საკრებულის წევრები; ფიქრია ავალიანი — რუსთავის საკრებულოს წევრი; ემზარ ბერუაშვილი — ერედვის საკრებულოს წევრი და ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაციის მდივანი ტატიანა ბოკუჩავა.



ევროპის საბჭოს ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების კონგრესი წარმატებით აგრძელებს თავის საქმიანობას და მისი მუშაობა მეტად მნიშვნელოვანია ევროპის საბჭოს წევრი ყველა ქვეყნისთვის. ამის შესახებ განაცხადა ევროპის საბჭოს ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების კონგრესის საქართველოს დელეგაციის წევრმა, თბილისის საკრებულოს დეპუტატმა გიორგი ტყემალაძემ.

მისივე თქმით, ადგილობრივი თვითმმართველობა ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყნის პოლიტიკური მოწყობის თვალსაზრისით, ვინაიდან იგი განსაზღვრავს დემოკრატიის ხარისხს ქვეყანაში. „აქედან გამომდინარე ის სამუშაო, რასაც რეგულარულად ატარებს ევროპის საბჭოს ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების კონგრესი, მეტად საყურადღებოა და მიმაჩნია, რომ კონგრესის მუშაობა ამ ეტაპზე სრულიად დამაკმაყოფილებელია".

**ავთანდილ ოთინაშვილი,**
**სტრასბურგი.**

ინფორმაცია

## ჯონდი ბაღათურიამ გიული ალასანიას „მონოპოლისტური საქმიანობის სქემა" წარმოადგინა

**„ქართული დასის" ლიდერმა, დეპუტატმა ჯონდი ბაღათურიამ პრეზიდენტის დედის — გიული ალასანიას „მონოპოლისტური საქმიანობის სქემა" წარმოადგინა.**

**ბაღათურიამ გუშინ არასამთავრობო ორგანიზაციებთან „ანტიკორუფციული ღონისძიებების შესახებ", ინიციატივის პრეზენტაციაზე, განაცხადა, რომ საქართველოში ორი მონოპოლისტური კლანი ჩამოყალიბდა.**

**მისი თქმით, ერთს თურქულ კაპიტალთან ერთად პრეზიდენტის დედა ხელმძღვანელობს, მეორეს — რუსულ კაპიტალთან ერთად ეკონომიკის ყოფილი მინისტრი კახა ბენდუქიძე.**

**ბაღათურიამ პრეზენტაციაზე სლაიდები და საჯარო რეესტრიდან ამონაწერი წარმოადგინა, რომლიც გიული ალასანიას მიერ სხვადასხვა დაწესებულებების ფლობას შეეხება.**

**„გიული ალასანია რომელიც 2004 წლამდე რიგითი მეცნიერი იყო, სააკაშვილის გაპრეზიდენტების შემდეგ, საქართველოს უნივერსიტეტს აფუძნებს, რომლის 37,5%-ს ფლობს გიული ალასანია, 37,5%-ს მანანა სანაძე, 12,5%-ს ედუარდ რობერტ რაუპი და 12,5%.-ს პრეზიდენტის ბიძაშვილი ნიკოლოზ ალასანია", — აღნიშნა დეპუტატმა.**

**მისივე თქმით, გიული ალასნიას კავშირი აქვს უცხოურ კაპიტალთან. კერძოდ, თურქეთის მოქალაქე ფეთჰულაჰ გულენთან, რომელიც დიდი კაპიტალის მფლობელია და ქართული განათლების სისტემაში ოპერირებს.**

**„ის ამჟამად ძებნილი არ რის, თუმცა, თურქეთის ხელისუფლების მიერ იგი ადრე არაერთგზის იყო დაკავებული. ფეთჰულაჰ გულენი, რომელიც თავს ისლამის მქადაგებელს უწოდებს, ქართული განათლების სისტემაში აქტიურად მონაწილეობს და მასთან დამაკავშირებელი რგოლი არის პრეზიდენტის დედა", — განაცხადა ბაღათურიამ და დასძინა, რომ ქართველი სამართალდამცავები გულენის საქმით უნდა დაინტერესდნენ.**

ინტერპრესნიუსი

ენას ძვალი არ აქვს

# როგორ „მოიტყვანა“ სააკაშვილმა ტექნიკურ უნივერსიტეტში გაზაფხული

**„სოციალურად „გეპეის“ სტატუსი იყო, რომ, თუ ვერსად მოეწყობოდი, მერე აუცილებლად შეგტენიდნენ გეპეი-ში. ლამის, ეს სასჯელის ტოლფასი იყო... ჩვენ გვჭირდება ნამდვილი პროფესიონალები, ტექნოლოგები, ინფორმატიკოსები, ინჟინრები,“ — ასე შეაფასა საბჭოთა დროინდელი „გეპეიშნიკობა“ პრეზიდენტმა სააკაშვილმა ტექნიკურ უნივერსიტეტში სტუდენტებთან შეხვედრისას.**

პრეზიდენტის ასეთმა დამოკიდებულებამ ყოფილი „გეპეელების“ აღშფოთება გამოიწვია. ისინი მიიჩნევენ, რომ თავის დროზე ტექნიკურ უნივერსიტეტში საკუთარი ცოდნით ჩააბარეს და შესაბამის პროფესიასაც წარმატებით დაეუფლნენ.

მართალია, სააკაშვილმა იქვე დაამატა, რომ ტექნიკური უნივერსიტეტის სულის იმიტირება შეუძლებელია, და, ზოგადად, ძველ უნივერსიტეტებში სხვაგვარი სული ტრიალებს (როგორც ჩანს, პრეზიდენტმა აღიარა, რომ ამ აურას ე.წ. ჩარეცხილი ლექტორები ქმნიდნენ), მაგრამ პრეზიდენტის ნათქვამი უკვე მოხვდა ყოფილი „გეპეელების“ გულს.

ეტყობა, პრეზიდენტს დაავიწყდა, რომ მის მიერ შერისხულ გეპეი-ში თავის დროზე ვანო მერაბიშვილი, გია ბარამიძე, ვახტანგ ბალავაძე, მთავრობის სხვა ჩინოვნიკები და თვით კობა ხაბაზიც სწავლობდნენ. **Presage.tv**-მ კობა ხაბაზთან დაკავშირება სცადა იმის გასარკვევად, რომ იგი მართლაც თავისი ცოდნით ჩაირიცხა ტექნიკურ უნივერსიტეტში და იქ არავის ძალით არ შეუყვანია, თუმცა კობა ხაბაზს გამორთული ჰქონდა მობილური.

გეპეი-ს კურსდამთავრებული, ინტერნეტგამოცემა **Presage.tv**-ს დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი გია იაკობაშვილი ტექნიკურ უნივერსიტეტში პრეზიდენტის გამოსვლას ავადმყოფი, დაკომპლექსებული, ბოროტი ბიჭის საუბრად აღიქვამს.

**„პირადად მე აღნიშნული განცხადებით ძალიან შეურაცხყოფილი ვარ. არ ვიცი, რამდენად გრძნობენ თავს შეურაცხყოფილად ის ადამიანები, რომლებსაც დღეს მთავრობაში, პარლამენტში ან მმართველ პარტიაში პოსტები უჭირავთ. თუნდაც იგივე ვანო მერაბიშვილი, კობა ხაბაზი, გია ბარამიძე და სხვები. სააკაშვილის აზრების გადმოცემის მანერას, გამომეტყველებას რომ შეხედოთ, მიხვდებით, რომ იგი არაადეკვატურია. რაც შეეხება იმ აზრს, რაც ჩამოაყალიბა (თუ ამას აზრი შეიძლება ეწოდოს), უამრავი ადამიანისთვის, ვისაც აღნიშნული უმაღლესი დაუმთავრებია, შეურაცხმყოფელი იყო. გამოდის, „გეპეი“-სა და მოგვიანებით უკვე ტექნიკური უნივერსიტეტის არსებობა გუშინდელი დღიდან იწყება, ანუ იმ დღიდან, რაც პრეზიდენტადწოდებული მივიდა ტექნიკურ უნივერსიტეტში და აღნიშნული განცხადება გააკეთა,“** — აღნიშნა გია იაკობაშვილმა.

ამასთან, იგი მიიჩნევს, რომ, როგორც ჩანს, თვითონ სააკაშვილისთვისაა ეს ქვეყანა არაპრესტიჟული, ამიტომაც „წავიდა უკრაინაში და „კაგებეშნიკმა“ ბიძამისმა „შეტენა“ კიევის უნივერსიტეტში“.

**„ამასთან დაკავშირებით კიდევ ცალკე ისტორიები არსებობს, თუ რატომ მოხდა მისი გარიდება საქართველოდან. საერთოდ კი, სააკაშვილმა ჩვენ კი არ მოგვაყენა შეურაცხყოფა, არამედ - საკუთარ თავს. ალბათ, ამ საკითხში ფსიქიატრები უნდა ჩაერთონ და, შესაძლოა, ნარკოლოგებიც. რა გითხრათ... კაცი „მოიყვანას“ ნაცვლად „მოიტყვანას“ რომ იტყვის და რამდენჯერმე გაიმეორებს, ის ან მთვრალია, ან კაიფშია და ანაც არ იცის, რომელი სიტყვა როგორ გამოითქმის“,** — აცხადებს გია იაკობაშვილი.

**„ამ ქართველმა „იდიოტებმა“ ააშენეს რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, საავტომობილო და სატრაქტორო ქარხნები, თბილისის ელმავალმშენებელი ქარხანა, ენგურის ჰიდროელექტროსადგური, რომელიც უნიკალური იყო თავისი მონაცემებით, და მრავალი სხვა სამრეწველო ობიექტი, ქართველი ინჟინრები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში დიდი წარმატებით მოღვაწეობდნენ, სადაც მათ სიამოვნებით იწვევდნენ სამუშაოდ,“** — აცხადებს ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პოლიტექნიკური ინსტიტუტი კურსდამთავრებული ბესო გაბუნია. მისი თქმით, ტექნიკური უნივერსიტეტის მიმართ პრეზიდენტის გამონათქვამი იმ ხალხის ხსოვნის შეურაცხყოფაა, რომლებმაც ქართულ საინჟინრო აზრის განვითარებას და მსოფლიო მნიშვნელობის სკოლების შექმნას სიცოცხლე შესწირეს.

ამასთან, ბესო გაბუნია იხსენებს იმ წლებს, როცა იგი მაშინდელ „გეპეი“-ში ჩაირიცხა. მაშინ მან სულ ორი გამოცდა ჩააბარა და ისიც – კომპიუტერთან, რომელიც იმ წლებში „გეპეი“-ში არსებობდა. ასე რომ, მისი თქმით, გამომცდელთან შეხება და ქრთამის გადახდა ფიზიკურად შეუძლებელი იყო.

**„გეპეი“-ში არსებობდა მრავალი წარმატებული ფაკულტეტი, რომლის კურსდამთავრებულებიც მთელი პლანეტის**



**მასშტაბით სხვადასხვა სპეციალობით უდიდეს სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებსა და საწარმოებში მუშაობდნენ. მეხუთე კურსზე ვიყავი, როცა „გეპეი“-ში არსებულ კოსმოსის შემსწავლელ ინსტიტუტში სადიპლომო ნამუშევარი შევასრულე. საკითხი ეხებოდა ორბიტალური რადიოანტენების შემადგენელი კომპონენტების ტექნოლოგიურ დამუშავებას. ინსტიტუტი დაკომპლექტებული იყო უნიკალური სპეციალისტებით. 1990-იანი წლების ბოლოს ეს ანტენა კოსმოსში წარმატებით გავიდა, რაც ქართული საინჟინრო აზრის დიდი წარმატება იყო“,** — იხსენებს ბესო გაბუნია.

მისი თქმით, ეს არ იყო ინსტიტუტი, სადაც ვიღაცებს „ტენიდნენ“. მეტიც, სწორედ ამ „ჩამორჩენილმა“ ქართულმა საინჟინრო აზრმა აითვისა იტალიიდან შემოტანილი უახლესი ტექნოლოგიები სოფლის მეურნეობის მანქანათმშენებლობის კუთხით. ბესო გაბუნიას თქმით, საქართველოში იწარმოებოდა მცირეგაბარიტიანი ტრაქტორები, რაც დღეს ჰაერივით სჭირდება ქართულ სოფლის მეურნეობას, რომლის აღორძინებაზე მავანნი ბევრს გაჰკივიან.

**„ეტყობა, თვითონ ჰქონდა პრობლემები პრეზიდენტს, როცა სკოლა დაამთავრა და შანსი არ ჰქონდა, სადმე ჩარიცხულიყო. ამიტომაც ახსენებს ამას ხშირად. ჩემს გარშემო მე არ გამიგია, რომ ვინმე ჩაწყობით მოხვდა, ასეთი რამ სტუდენტებში უთუოდ გახმიანდებოდა. ალბათ, გამონაკლისი შემთხვევები იყო, როცა გადასახადის საფასურად ეწყობოდნენ“,** — აცხადებს ბესო გაბუნია და გამოცდილი ტექნიკოსების გაჭირვების პერიოდსაც იხსენებს, როცა 90-იან წლებში პოლიტექნიკური ინსტიტუტის კათედრის დოცენტები და პროფესორები ვაგზლის ბაზრობაზე ორცხობილას ყიდდნენ.

**„მართლია, ტექნიკური სფეროს სპეციალისტებმა ბოლო 20 წლის განმავლობაში დეკვალიფიკაცია განიცადეს, მაგრამ 21-ე საუკუნის საქართველო ინჟინრის გარეშე ვერ წარმომიდგენია. კვალიფიციური ინჟინრები დღეს ასაკოვანნი არიან და, თუ სახელმწიფომ არ განავითარა ეს მიმართულება, იმავე სიტუაციაში ჩავვარდებით, როგორც 50 წლის წინათ ჩრდილო აფრიკის, სამხრეთ ამერიკისა და აზიის ქვეყნები, რომელთა საინჟინრო კუთხით ამოქაჩვა უწევდათ ზუსტად იმ ქართველ ინჟინრებს, რომლებიც „ქრთამით იყვნენ მოწყობილნი“. შესაძლოა, სამშობლოში მათ ქრთამებით, ნათესაობით, ნეპოტიზმით გაეტანათ თავი, მაგრამ, თუ არაფერი იცოდნენ, იქ, სადღაც უდაბნოში, ასუანის კაშხლის მშენებლობაზე მათ არავინ გააჩერებდა და უკან გამოისტუმრებდნენ, რადგან ამ ინჟინრებს ის ღარიბი სახელმწიფოები მყარ ვალუტას ტყუილად არ გადაუხდიდნენ“,** — აღნიშნავს ბესო გაბუნია.

ტექნიკური უნივერსიტეტის ყოფილი ლექტორი ანზორ საკანდელიძე **Presage.tv**-სთან საუბარში აცხადებს, რომ ამჟამად ტექნიკურ უნივერსიტეტში სწავლის დონე ძალიან დაბალია, რის გამოც იგი, როგორც ლექტორი, კარგა ხანია, ლექციებზე არ შესულა.

**„ლექციებს აღარ ვკითხულობ, რადგან სტუდენტი ვერ მოგყვება, მათემატიკის ელემენტარული ცოდნა არ აქვს, რაც სასკოლო ასაკიდან მოდის. სამკუთხედის ფართობის ანგარიში არ იცის ხალხმა და რა პროექტები უნდა გააკეთებინო?! ამიტომაც ტექნიკური უნივერსიტეტიდან ამოიღეს საინჟინრო ფაკულტეტები, რომლებიც თაობებს კარგ სპეციალისტებად აყალიბებდა. ტექნიკუმის დონეზეც კი ვეღარ ვუშვებთ კადრებს“,** — გვითხრა საკანდელიძემ.

ამასთან, ანზორ საკანდელიძე აღნიშნავს, რომ მან 1963 წელს დაამთავრა „გეპეი“ და ეს უმაღლესი იმდენად ძლიერ კადრს ზრდიდა, რომ რუსეთში პირდაპირ ინჟინრებად მიდიოდნენ და აქაურ კადრებს საზღვარგარეთაც ეძებდნენ.

ანზორ საკანდელიძის აზრით, ბათუმში ტექნოლოგიური უნივერსიტეტის გახსნა აკვიატებაა, რადგან ლაბორატორიები, ტექნიკური ბაზა თბილისშია.

**„მე მიკვირს, რატომ უნდათ ტექნოლოგიური უნივერსიტეტის ბათუმში გადატანა, მაშინ, როცა ტექნიკურ უნივერსიტეტში უნიკალური ლაბორატორიული ბაზაა. ძეგლების არ იყოს, რა წაღება-წამოღება აუტყდათ? ხომ გვაქვს ტრადიციული ტექნიკური უნივერსიტეტი, რომელსაც ფილიალები ბათუმშიც ჰქონდა, ქუთაისშიც, აჭარაშიც, ტყიბულშიც, ჭიათურაშიც“.**

პრეზიდენტის სტუმრობის შემდეგ ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი ივანე მეფარიშვილი აცხადებს, რომ პრეზიდენტმა შეურაცხყოფა მიაყენა მათ უნივერსიტეტს.

**„ტექნიკურ უნივერსიტეტში პრეზიდენტის სიტყვის შემდეგ აღშფოთებულმა სტუდენტებმა მითხრეს, რომ სააკაშვილს თურმე ისიც უთქვამს, ცხოველებიც კი ირიცხებიან ტექნიკურ უნივერსიტეტშიო. ამგვარი შეფასება ჩვენთვის შეურაცხმყოფელია. ნაცვლად იმისა, პრეზიდენტს სტუდენტებისთვის შეურაცხყოფა არ მიეყენებინა, აჯობებდა, ეთქვა, რა გააკეთა, რათა წარჩინებული სტუდენტები თანხის უქონლობის გამო ტექნიკური უნივერსიტეტიდან არ გაერიცხათ. ან კიდევ, რას ნიშნავს სტუდენტების დაბოლება ერთჯერადი დასაქმების პიარ-აქციით, რომელიც ივლისში დაიწყება?“** — კითხულობს მეფარიშვილი.

მეტიც, ივანე მეფარიშვილის თქმით, სახელმწიფოს არაფერი გაუკეთებია სტუდენტებისთვის.

ტექნიკური უნივერსიტეტის ყოფილი რექტორი არჩილ მოწონელიძე აცხადებს, რომ ბოლომდე რთულია იმის თქმა, რომ ტექნიკურ უნივერსიტეტში ჩაწყობით ხვდებოდნენ, მაგრამ ალებ-მიცემობის პერიოდი მაშინ ყველა უმაღლესმა სასწავლებელმა გაიარა.

**„ბუნებრივია, არც „გეპეი“ იყო გამონაკლისი, მაგრამ არა - ტოტალურად. 70-80-იან წლებში „გეპეი“ მამაკაცებისთვის ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟულ უმაღლეს სასწავლებლად ითვლებოდა. ამდენად, მე არ ვიცი, რომელ პერიოდს გულისხმობდა პრეზიდენტი, როდესაც ასეთი რამ თქვა. თავის დროზე ტექნიკურ უნივერსიტეტში მეც ჩავირიცხე, თანაც, ძალიან წესიერად ჩავირიცხე. ჩემთან უამრავი მცოდნე სტუდენტი იყო, რომელიც, ასევე, საკუთარი ცოდნით ჩაირიცხა“,** — აღნიშნა არჩილ მოწონელიძემ **Presage.tv**-სთან კომენტარში.

მარიამ ლოლაშვილი

ინფორმაცია

## სტუდენტებმა განათლების სამინისტროსთან საპროტესტო აქცია გამართეს

**სტუდენტთა საზაფხულო დასაქმების პროგრამაში რეგისტრაციასთან დაკავშირებით, „სტუდენტთა უფლებების ლიგამ“ განათლების სამინისტროსთან საპროტესტო აქცია გამართა.**

**აქციაში ის სტუდენტებიც მონაწილეობდნენ, რომლებმაც პროგრამაში რეგისტრაცია ვერ გაიარეს. ისინი აცხადებდნენ, რომ საიტი ხარვეზებით მუშაობდა და საათების განმავლობაში მცდელობის მიუხედავად, რეგისტრაცია ვერ მოახერხეს, ან როცა დარეგისტრირდნენ, ვაკანსიები უკვე აღარ იყო. „სტუდენტთა უფლებების ლიგაში“ ამბობენ, რომ საიტი ტექნიკურად გაუმართავი იყო და სტუდენტებს არ ჰქონდათ შესაძლებლობა, თანაბარ პირობებში ყოფილიყვნენ.**

**„პროექტის მასშტაბურობიდან გამომდინარე, გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო მსგავსი პრობლემების არსებობის შესაძლებლობა და უნდა შექმნილიყო ისეთი საიტი, რომელიც მსგავს დატვირთვას გაუძლებდა. თუ ეს დიდ ხარჯებს მოითხოვდა, შესაძლებელი იყო სხვა ისეთი ალტერნატიული საშუალებების გამოყენება, რომელიც სტუდენტებს თანაბარ მდგომარეობაში ჩააყენებდა“, — განაცხადა აქციაზე „სტუდენტთა უფლებების ლიგის“ პრეზიდენტმა ნოდარ თათვიძემ.**

**სტუდენტთა პროტესტს განათლების სამინისტროდან არავინ გამოხმაურებია.**

ინტერპრესი

SIC!

**„სინდისიერებით“ აღსავსე გოკა გაბაშვილმა შეიარაღებულ ფორმირებებთან დაკავშირებით ირაკლი ალასანიას განცხადება, უსინდისო და უნამუსო განცხადებად მიიჩნია, უმრავლესობის წევრმა ნუგზარ წიკლაურმა ზუგდიდისა და ქალაქ ჰომსის (სირიის) შედარება „ქართული ოცნების“ ქაოსურ და ანარქიულ საარჩევნო დაპირებად აღიქვა, თავდაცვის მინისტრმა ბაჩო ახალაიამ კი განაცხადა, რომ რეზერვისტების გამოყენება მხოლოდ საომარი მოქმედებებისას ან სტიქიური უბედურების დროს ხდება და პოლიტიკურ შიდადაპირისპირებაში მათი გამოყენება არ შეიძლება.**

ნაციონალების მტკიცების მიუხედავად, არავინ იცის, რას მოიტანს წინასაარჩევნოდ გააქტიურებული ამ შეიარაღებული ფორმირებების ჩამოყალიბება დასავლეთ საქართველოში. მით უფრო, რომ „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერის მტკიცებით, ეს დაჯგუფებები არ წარმოადგენენ რეზერვისტებს, რადგან რეზერვისტების ფორმირების წესი განსხვავებულია. ზემოხსენებული დაჯგუფებები კი რეზერვისტთა მონაცემთა ბაზაში არ არიან დარეგისტრირებულნი და შეიარაღებულნი თავისუფლად გადაადგილდებიან. მეტიც, ეს დაჯგუფებები კონკრეტულ სამართალდამცავ ძალებს ექვემდებარებიან და არა – შეიარაღებულ ძალებს. ამდენად, ალასანიას პროგნოზით, მათი ერთადერთი მიზანი არჩევნებში მოსახლეობისთვის თავისუფალი არჩევანის გაკეთების შეზღუდვაა.

ირაკლი ალასანია, როგორც თავის დროზე უშიშროების მინისტრის ყოფილი მოადგილე და ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის ყოფილი თანაშემწე, ასეთ სკანდალურ ინფორმაციას გადამოწმების გარეშე არ გაავრცელებდა. იგი აცხადებს, რომ საეჭვოდ შეიარაღებული ფორმირებების შესახებ ინფორმაციას თვეების განმავლობაში აგროვებდა და ამოწმებდა. ამდენად, მისი თქმით, გამორიცხული არ არის, ხელისუფლებამ ეს 500-კაციანი რაზმი სათავისოდ გამოიყენოს. ამის საწინდარი არა მარტო ამ შეიარაღებული ფორმირების ზოგიერთი წევრის კრიმინალური წარსული, არამედ მათი მატერიალური დაინტერესებაცაა.

**„მე ყოველთვის იქ ვიყავი, სადაც ჩემს სამშობლოს უჭირდა, მათ შორის, იარაღით ხელშიც. მაგრამ დღიდან პოლიტიკაში მოსვლისა, ვცდილობ, ჩემს გუნდთან ერთად დავამყარო ისეთი პოლიტიკური კულტურა, რომელიც ქვეყანაში ხელისუფლებას ერთადერთი გზით, სამართლიანი არჩევნებით შეცვლის. სამწუხაროდ, ხელისუფლება არ იზიარებს ამგვარ ფუნდამენტურ პრინციპებს და უშუალოდ სააკაშვილის მითითებით დასავლეთ საქართველოში, რამდენიმე თვის განმავლობაში იქმნება ამგვარი შეიარაღებული ფორმირებები“,** – განაცხადა ირაკლი ალასანიამ და აღნიშნა, რომ სწორედ ახალაიებს დაავალა სააკაშვილმა მსგავსი ფორმირებების სამეგრელოში შექმნა.

ამ განცხადების შემდეგ ირაკლი ალასანია ჯონ ბასსაც შეხვდა, არც ერთ მათგანს კომენტარი არ გაუკეთებია. თუმცა, მანამდე, აშშ-ის ელჩმა აღნიშნა, რომ **„წინასაარჩევნოდ გაკეთებული ნებისმიერი ბრალდება, რომელიც ძალადობის გამოყენების შესაძლებლობას ან მის წინასწარმეტყველებას უკავშირდება, ყურადღების მიქცევას საჭიროებს. ჯონ ბასის თქმით, ძალადობის ადგილი არ არის კონკურენტულ საარჩევნო ციკლში, დემოკრატიულ საზოგადოებაში და ყველა მხარემ უნდა უზრუნველყოს ისეთი ნაბიჯების გადადგმა, რათა თავიდან ავიცილოთ ისეთი პროცესები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს ძალადობრივი გარემოს შექმნა“.**

შეიარაღებული ფორმირებებისა და ქვეყანაში სამოქალაქო დაპირისპირების საშიშროების შესახებ Presage.tv-ემ პოლიტიკურ და სამხედრო ექსპერტებს ესაუბრა.

ექსპერტი გია ხუხაშვილი აცხადებს, რომ მისი ინფორმაციით, შეიარაღებულ ფორმირებებში შემავალი ადამიანები უკვე ღიად გამოჩდნენ. ეს არ არის დამალული ფაქტი და მათ უკვე ქალაქში დაიწყეს მოძრაობა.

**„მე ვფიქრობ, ნებისმიერ ჟურნალისტს შეუძლია ეს ხალხი ნახოს და დააფიქსიროს ასეთი მოძრაობების დროს. თავისთავად, ეს ინფორმაცია ძალიან შემაშფოთებელია.**



# შეიარაღებულ ფორმირებებში შემავალი ადამიანები უკვე ღიად გამოჩნდნენ

ჯერ კიდევ გასული წლის დეკემბერში, ირაკლი ალასანიას განცხადებამდე სამი თვით ადრე, სამეგრელოს სოფლებში მოხალისე რეზერვისტთა რაზმების შექმნის შესახებ გავრცელდა ინფორმაცია. სოფელ ჯიხაშკარის მკვიდრნი იმთავითვე საუბრობდნენ სამხედრო მანქანებით შეიარაღებული ჯგუფების გადაადგილებაზე, რომელთა ვინაობაც მათ არ იცოდნენ.

დღეს კი უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე ბათუ ქუთელია რადიო „თავისუფლებასთან“ საუბარში აცხადებს, რომ ირაკლი ალასანიას მიერ მათთვის გაგზავნილ ინფორმაციაში მხოლოდ ყოფილი და მოქმედი პოლიციელებისა თუ სამხედროების გვარებია ჩამოთვლილი. მისი თქმით, ე.წ. სამხედრო ფორმირებების შესახებ სხვა ინფორმაცია არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს, რადგან ასეთი ფორმირებები საქართველოში წარსულს ჩაბარდა.

**საინტერესოა, თუ რა პროცესთან გვაქვს საქმე და საით მიდის ეს ყველაფერი, რა არის ამ ფორმირებების შექმნის მიზანი – მხოლოდ ხალხის დაშინება-დათრგუნვა, რასაც ჩვენ შეჩვეულები ვართ, თუ უფრო სერიოზული პროვოკაციის მომზადება?! ვფიქრობ, ირაკლი ალასანიას მიერ დასმული კითხვები აბსოლუტურად ლეგიტიმური და ლოგიკურია“,** – აღნიშნავს გია ხუხაშვილი.

მისი თქმით, ხელისუფლების პოლიტიკის გამო ქართულ საზოგადოებას მთელი რესურსი გამოცლილი აქვს, ამდენად, დღევანდელ სიტუაციაში ჩვენი ერთ-ერთი მთავარი იარაღი ჩვენი დასავლელი პარტნიორები არიან, რომლებმაც, შესაძლოა, ამ ყველაფერში გარკვეული შემაკავებელი როლი შეასრულონ.

**„ბუნებრივია, ირაკლი ალასანიას მხრიდან ამ საკითხისადმი ზუსტად დიპლომატების ყურადღების გამახვილება აბსოლუტურად სწორი იყო“,** – აცხადებს გია ხუხაშვილი.

სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალ „არსენალის“ მთავარი რედაქტორი ირაკლი ალადაშვილი შეიარაღებული ფორმირებების შექმნაზე ინფორმაციას არ ფლობს, თუმცა აღნიშნავს, რომ რეზერვის მომზადება კონსტიტუციით მიღებული ნორმაა და ამაში პრობლემას ვერ ხედავს. ამდენად, მისი აზრით, სულ ერთია, რეზერვისტობა ნებაყოფლობითია თუ სავალდებულო, ისევე, როგორც ეს სამხედრო სავალდებულო სამსახურში ჯარისკაცების გაწვევის, ან კონტრაქტით მსახურების დროს ხდება.

**„ეს მთავარ პრობლემად მაშინ იქცევა, თუ ვინ როგორ გამოიყენებს შეიარაღებულ ხალხს. მე ვერ გეტყვით, წინასაარჩევნოდ შეიარაღებულ ხალხს როგორ გამოიყენებენ. ძალიან რთულია ამის ვარაუდი, მაგრამ ყველა მხარემ კონსტიტუცია უნდა დაიცვას. ეს არის მთავარი“.**

„ქართული ოცნების“ თავდაცვისა და ეროვნული უსაფრთხოების თემატური ჯგუფის ხელმძღვანელი ირაკლი სესიაშვილი აცხადებს, რომ საქართველოში შეიარაღებული ფორმირებების შექმნის თაობაზე ზოგად ინფორმაციას იგი ფლობდა, თუმცა ირაკლი ალასანიამ ამის შესახებ კონკრეტულად ისაუბრა და კონკრეტული პიროვნებებიც დაასახელა. ამასთან, სესიაშვილის თქმით, ირაკლი ალასანიას სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაციებიც მოეპოვება, რომელთა საჯაროდ გაჟღერებაც გარკვეულ ინტერესთა დამაზიანებელი იქნება.

**„ეს ინფორმაცია საგანგაშოა, ამიტომ ირაკლი ალასანია მზად არის, უშიშროების საბჭოს დამატებითი დეტალები გააცნოს და პრევენციული ხასიათის ღონისძიებების გასატარებლად იმუშაოს. ჩვენი კოალიცია მაქსიმალურს აკეთებს, რათა ქვეყანაში არჩევნები მშვიდობიანად ჩატარდეს. რაც მთავარია, მინიმალური რისკებით, გამოწვევებით მივიდეთ არჩევნებამდე, რომ, პირველ რიგში, სახელმწიფო ინტერესები არ დაზიანდეს“.**

სესიაშვილის თქმით, ხელისუფლების მოქმედება, მათ კოალიციაზე მეტად, სახელმწიფო ინტერესებს აზიანებს და სერიოზულ პრობლემებს უქმნის, მათ შორის, ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე.

შეკითხვაზე, ხედავს თუ არა სამოქალაქო ომის წინაპირობას, რადგან სამოქალაქო ომის შემთხვევაში, ორივე მხარე შეიარაღებული უნდა იყოს (და არა ერთი მხარე, როგორც ამ შემთხვევაშია), ირაკლი სესიაშვილი აცხადებს: **„ჩვენ ამ სიტყვის ხსენებაც კი არ გვსურს, რამდენადაც მხოლოდ ცივილიზებულ მიზნებზე ვართ ორიენტირებულნი. ხელისუფლებაში მოვდივართ არა სკამების დასაპატრონებლად, არამედ დემოკრატიული სახელმწიფოს შესაქმნელად“.**

**მარიამ ლოლაშვილი**

არჩევნების წინ...

# „პოლიტიკურ სცენას გასასვლელიც აქვს“



**პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნების“ და „თავისუფალი დემოკრატების“ წევრი თეა წულუკიანი Presage.tv-სთან საუბარში აცხადებს, რომ ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში დროებით დარჩენას აპირებს, რაც საქართველოს პოლიტიკურ ისტორიაში პირველია.**

– ქართული ოცნების ასრულებას წინ არაფერი უდგას. ამის შესახებ „თავისუფალი დემოკრატების“ თბილისის ყრილობაზეც დაფიქსირდა, სადაც კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერებმა მოიყარეს თავი. ქართული ოცნების ასასრულებლად ერთადერთი რამ არის აუცილებელი, – უნდა შესრულდეს ის პირობა, რომ პოლიტიკოსები და ხალხი გაერთიანდნენ და თავიანთი ძალები ინტენსივობის კიდევ უფრო მეტი ხარისხით შეაერთონ. ბატონმა ბიძინამ, როგორც კოალიციის ლიდერმა, ბრძანა, რომ მისი ოცნებაა, ქართულმა საზოგადოებამ, ჩვენმა სახელმწიფომ და ქვეყანამ სხვა დემოკრატიული ქვეყნების ოჯახში ღირსეული ადგილი დაიკავოს და ევროპული სივრცის ნაწილი გახდეს.

**– ბიძინა ივანიშვილმა ხელისუფლების გადაბარებაზეც ბრძანა. მისი თქმით, პოლიტიკიდან მის წასვლის შემდეგ კონკურენცია ირაკლი ალასანიას, დავით უსუფაშვილს, ზვიად ძიძიგურს, „ეროვნულ ფორუმს“ შორის უნდა იყოს. ბიძინა ივანიშვილის ნათქვამი როგორ აღიქვით და ეს ნიშნავს თუ არა ხელისუფლების გადაბარებას?**

– პოლიტიკაში გამოჩენის პირველივე დღიდან ბიძინა ივანიშვილმა აღნიშნა, რომ იგი ამ სფეროში დროებით ყოფნას აპირებდა, რაც საქართველოს პოლიტიკურ ისტორიაში პირველია. აბსოლუტურად ვიზიარებ იმ აზრს, რომ, როდესაც პოლიტიკოსები სცენაზე შემოდიან, მოგვიანებით უნდა მიხვდნენ კიდეც, რომ სცენას აქვს გასასვლელიც. ჩვენი პოლიტიკის ისტორიაში ამის პირველ და მნიშვნელოვან მაგალითს, ალბათ, ბიძინა ივანიშვილი მისცემს. ეს იქნება მაგალითი სხვა პოლიტიკოსებისთვის, რომ პოლიტიკაში სამუდამოდ არ მოდიან. როგორც ჩანს, ბიძინა ივანიშვილის სურვილია, რომ, როცა ის ხელს შეუწყობს მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკიდან გასტუმრებას, ამის შემდეგ ისეთ პოლიტიკური პროცესი დატოვოს, რომელიც საშუალებას მოგვცემს, ჯანსაღ პოლიტიკურ ძალებს შორის მომავალში ჯანსაღი კონკურენცია არსებობდეს.

**– თუმცა ეს არ არის იმის გარანტია, რომ პიროვნებები, რომლებიც ბიძინა ივანიშვილმა დაასახელა, შემდეგშიც პოპულარულნი იყვნენ?!**

– ამას ხალხი გადაწყვეტს. თუ ისინი პოპულარულები არ იქნებიან, მაშინ სხვა პოპულარული ადამიანები იბრძოლებენ, მაგრამ ბიძინა ივანიშვილმა ერთი რამ თქვა, რომ, თუკი ამ გადაწყვეტილებას მიიღებს, მთავარია, მის უკან ჯანსაღი პოლიტიკური გარემო დატოვოს. ხოლო ამ გარემოსა და სცენაზე პოლიტიკური როლის მოთამაშეები ვინ იქნებიან, ამას ხალხი გადაწყვეტს.

**– ირაკლი ალასანიამ დასავლეთ საქართველოში სამხედრო ფორმირებების შექმნისა და საქართველოში სირიის სცენარის მოსალოდნელ გამეორებაზეც მიუთითა, რაზეც პრეზიდენტმა უპასუხა, რომ ზოგიერთებს „მხედრიონის“ პერიოდში ჩვენი ქვეყნის დაბრუნება სურთ.**

**– კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორი ლინკოლნ მიტჩელი აცხადებს, რომ საქართველოს დღევანდელი ხელისუფლებისთვის თანამდებობიდან წასვლა შეუთავსებელია.**

– ეს ახალი ამბავი არაა, რომ მათ ხელისუფლებიდან წასვლა არ სურთ, რადგან მათ ხალხის ხარჯზე გაისქელეს ჯიბეები. ცხადია, სქელი ჯიბე ტკბილია და ამიტომაც წასვლა არ ენდომებათ, მაგრამ ბიძინა ივანიშვილმა აღნიშნა, ისეთ მდგომარეობაში ჩავაყენებთ ხელისუფლებას, რომ ისინი გადაწყვეტენ, რომ ჩაყოლას ჩათრევა სჯობს.

**– „ქართული ოცნების“ მხრიდან დასავლეთში არაერთი ლობისტური კომპანიის დაქირავების თემამ საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. გაჩნდა მოსაზრებაც, რომ ივანიშვილის გუნდი არჩევნების მოგებას საქართველოზე მეტად ამერიკაში აპირებს.**

– ბიძინა ივანიშვილს ჰყავს ამერიკული კომპანიები, რომლებიც მას და მის კოალიციას ეხმარებიან. ივანიშვილი მათ თანხებს უხდის საკუთარი კერძო ჯიბიდან, მაშინ, როცა მიხეილ სააკაშვილს ჰყავს მრავალმილიონიანი ამერიკელი ლობისტები, რომლებსაც თანხებს ხალხის ჯიბიდან უხდის.

ბიძინა ივანიშვილს მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე უშრომია და ამ შრომის ნაყოფს როგორ მოიხმარს, ეს მისი პირადი საქმეა. რაც შეეხება არჩევნების მოგებას, „ქართული ოცნება“ არჩევნებში გამარჯვებას საქართველოში აპირებს. ამას ემსახურება თავად კოალიციის ლიდერის რეგიონებში სიარული და ხალხთან აქტიური ურთიერთობა.

**მანანა ნოზაძე**

გლობუსი

# ორი საყურადღებო ვიზიტი

**იმ მნიშვნელოვანი საერთაშორისო საკითხებიდან, რომლებმაც ყურადღება მიიქციეს, ორი ვიზიტი იყო — ისრაელის პრემიერ-მინისტრის ნეთანიაჰუს და დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის კემერონის, აშშ-ში. ვიზიტებს შორის მოკლე ინტერვალი, გარდა პროტოკოლური ფორმისა, არ მიგვანიშნებს მათ განსხვავებაზე. პირველი იყო სამუშაო, ხოლო მეორე სახელმწიფო — თეთრ სახლთან გამართული მაღალი მიღებით, ოფიციალური ბანკეტით, სხვა პროტოკოლური ფორმის გამოვლინებით.** რაც შეეხება ამ ორი ლიდერის მოლაპარაკებას აშშ-ს პრეზიდენტ ობამასთან, თემა თითქმის იდენტური იყო, ოღონდ კემერონთან მიმართებაში აქცენტი კეთდებოდა ავღანეთზე. მთლიანობაში, ასე შეიძლება განვიხილოთ ორი მოლაპარაკება — ავღანეთი, ახლო აღმოსავლეთი, ირანის პრობლემა და სხვა საჭირბოროტო საკითხები, რომელთა მიმართებაში სამივე სახელმწიფოს წვლილი განუზომელია. ავღანეთის პრობლემა ლამის აქილევსის ქუსლად ექცეს ამერიკა-ინგლისს. დღე ისე არ ჩაივლის, იქაურმა ამბებმა მსოფლიო საინფორმაციო ბლოკებში პირველი ადგილი არ დაიკავოს. ხან ამერიკელი ჯარისკაცების მიერ ყურანის დაწვა, ხან მშვიდობიანი სოფლების „შემთხვევით“ გადაბუგვა, ხან ისევ ჯარისკაცების მიერ მკვდარ ავღანელებზე დაშარდვა, ხან ამერიკელი ჯარისკაცის მიერ 16 ქალისა და ბავშვის დახოცვა და სხვა. ყოველივე აღნიშნული დროის მცირე მონაკვეთში მოხდა, რასაც უმალ მოჰყვა აღშფოთებული ავღანელების რეაქცია „ოკუპანტი“ ამერიკა-ინგლისის სამხედროების ხოცვით, ობამას ბოდიშებით და ა. შ. აღნიშნულმა სავალალო აქტებმა შეაჩერეს ამერიკა-ტალიბანის დაწყებული მოლაპარაკება, როგორც ჩანს, გაჯიქებულ ტალიბთა შემობრუნება არც თუ იოლი იქნება.

ავღანეთი მძაფრ რეაქციას იწვევს როგორც ამერიკელებში, ისე ინგლისელებში, კოალიციაში შემავალ ყველა ქვეყანაში, ვისაც ფრონტზე გაგზავნილი მეომარი ცინკის კუბოთი დაუბრუნდა. ამერიკელები, ისე, როგორც ინგლისელები, სხვები, კატეგორიულად მოითხოვენ ხელისუფლებისგან ომის შეწყვეტას და ჯარისკაცების უკან დაბრუნებას. საყოველთაო აღშფოთების ფონზე სალი კლდესავით ურეაქციოდ საქართველოს მოსახლეობა რჩება. ბრიყვული პროპაგანდის გამოისობით საქართველო ავღანეთში, საერთაშორისო ტერორიზმს ებრძვის, რითაც მსოფლიოს სამშვიდობო საქმეს აკეთებს, რაც თავისთავად უგბილო არგუმენტია.

**ავღანეთის ომმა არა მარტო მილიარდები შთანთქა, არამედ ათასობით სიცოცხლეც. შედეგი — ნული. და ამ ფონზე ობამა-კემერონის დაუჯერებელი ერთობლივი განცხადება — ავღანეთში სამხედრო ოპერაციების წარმატებულობაზე, ისეთივე ნაცრის შეყრაა საკუთარი თუ საერთაშორისო საზოგადოების თვალში, როგორც სააკაშვილის ყოველდღიური უსაფუძვლო ბაქი-ბუქი.** ე. წ. წარმატებული ოპერაციების შემდეგ ობამა-კამერონმა გადაწყვიტეს ავღანეთიდან ჯარების 2014 წლის ბოლოსათვის გამოყვანა. როგორც ჩანს, ორივე სააკაშვილისა და ქართველი სამხედროების იმედით არიან. გამოყვანამდე კი ორივე მათგანმა ისე უნდა გაწვრთნას სახელმწიფოს მეომრები, ანუ ავღანელები, რომ ნებისმიერ შეტევას გაუძლონ. საინტერესოა, სჯერათ მათ ან სხვას, რომ მსგავსი შესაძლებელია? კოალიციურმა ძალებმა, კბილებამდე შეიარაღებულმა, ვერაფერი გააწყვეს თალიბებთან, და, როგორც ჩანს, შერცხვენილები, დამარცხებულები დატოვებენ ავღანეთს. თანაც დამარცხებული ოკუპანტის სახელით. ოკუპანტებში ჩვენც მოვიაზრებით. ათი წელი ძვრა ვერ უყო დასავლურმა თანამედროვე სამხედრო მანქანამ ქვის ხანაში მყოფ თალიბებს, ვერ შეარყია მათი ბრძოლისუნარიანობა, ვერ დააჩოქა ისინი. ათწლიანმა ომმა მიწასთან გაასწორა ისედაც დაქცეული ავღანეთი. ოკუპანტები დატოვებენ ავღანეთს, ისე, როგორც დატოვეს ერაყი — უამრავი პრობლემით, რელიგიურ-ტომობრივი დაპირისპირებით, სხვა „სიკეთეებით“.

**სრული ავღანური „ბედნიერებისთვის“ ვაშინგტონი სხვა გეგმასაც იხილავს, მაგალითად კონგრესი, ავღანეთიდან ბელუჯისტანის გამოყოფას. დაყავი და იბატონეს საქმეში აშშ-ს ბადალი არ ჰყავს. გავიხსენოთ იუგოსლავია, ლიბია. აშშ-სა და ნატოს მიერ წამოწყებულმა ანტილიბიურმა სამხედრო ოკუპაციამ არა მარტო კადაფი მოსპო, არამედ მასთან ერთად ამ ქვეყნის მთლიანობა. გასულ კვირას ორმა პროვინციამ თითქმის დამოუკიდებლობა გამოაცხადა, რითაც გააცოფა ტრიპოლში დაბანაკებული დროებითი ხელისუფლება. მან სეპარატისტებს მუქარით უპასუხა, რაც თავისთავად სამოქალაქო ომის ნიშანია. ჩანს, სულ მალე მინიმუმ სამად დაშლილ ლიბიას ვიხილავთ, რაც შესანიშნავად მოერგება ამერიკულ პროექტს. დაშლის მხრივ კრიზისული პრობლემებია ეგვიპტეშიც, რომელიც ჰოსნი მუბარაქის მრავალწლიანი მმართველობის დროს აშშ-ს განუყრელ მეგობრად მოიაზრებოდა. მეგობრობა მეგობრობად, მაგრამ საკუთარი საქმე უპირველეს ყოვლისა — ასე ფიქრობს აშშ და ეგვიპტეში მოქმედი თავის ინსტიტუტს ეგვიპტის ოთხად დაშლის პროექტის შემუშავებას ავალებს. ეგვიპტის დროებითი სამხედრო საბჭოს სპეცსამსახურებმა დროულად გამოავლინეს „განუყრელი მეგობრის“ მზაკვრობა და ამერიკული არასამთავრობო ორგანიზაციის თანამშრომლები დააკავეს. ამ გადაწყვეტილებამ მოთმინებიდან გამოიყვანა ოფიციალური ვაშინგტონი, რომელმაც კატეგორიულად მოითხოვა დაპატიმრებული ამერიკელების განთავისუფლება, წინააღმდეგ შემთხვევაში დაემუქრა ყოველწლიური დახმარების (1.5 მილიარდი დოლარი) შეწყვეტით.** დაკავებულები გაათავისუფლეს, მაგრამ სასამართლოს გადასცეს, რომელიც საკითხს აპრილში განიხილავს. ამერიკა-ეგვიპტის დაპირისპირება გრძელდება და რით დასრულდება, სასამართლოზეა დამოკიდებული. რაც შეეხება მილიარდნახევარი დოლარის შეწყვეტას — საჩოთირო საქმეა, ვინაიდან ეგვიპტე-ისრაელ-აშშ-ის კემპ დევიდის ხელშეკრულებით აშშ იღებდა ვალდებულებას ეგვიპტისათვის აღნიშნული თანხის, ხოლო ისრაელისათვის 35 მილიარდი დოლარის მიწოდების თაობაზე. ეგვიპტისთვის თანხის მიწოდების შეწყვეტა კემპ დევიდის ხელშეკრულების ეჭვქვეშ დაყენებაა. დაშლის ნიშნები შეინიშნება სირიაში, სადაც დასავლეთის მიერ წაქეზებულ-შეიარაღებული მეამბოხეები ებრძვიან ბაშარ ასადის ხელისუფლებას.



სირიის საკითხი ვაშინგტონში გამართული ორივე მოლაპარაკების ერთ-ერთი მთავარი საკითხი იყო. თეთრ სახლში გამართული ერთობლივი პრესკონფერენციის დროს ობამა-კემერონმა ხაზგასმით განაცხადეს, რომ მათთვის მიუღებელია ბაშარ ასადი და ის უნდა წავიდეს. ასადი აითვალისწუნეს ირანის გამო. ასადის სირია ირანის მოკავშირეა, ისე, როგორც რუსეთის. ირანი ისრაელის ნომერ პირველი მტერია, არანაკლებ — ამერიკის. ასადის ჩამოგდებით წყდება მტკიცე ჯაჭვი — თეირან-დამასკო, მცირდება ირანის გავლენა ახლო აღმოსავლეთში.

ირანის თემა უმთავრესი იყო ობამა-ნეთანიაჰუს მოლაპარაკებებზე. პირისპირ ლაპარაკი სამ საათზე მეტი გაგრძელდა, რასაც მოჰყვა გაფართოებული საუბარი საგარეო და სხვა უწყებათა ხელმძღვანელების მონაწილეობით. თეთრი სახლიდან წამოსული ხმების მიხედვით ნეთანიაჰუ დაბეჯითებით სთხოვდა ობამას ირანის ბირთვული ობიექტების დაბომბვისათვის თანხმობის გაცემას. ობამა ამშვიდებდა სტუმარს და სთხოვდა დალოდებოდა ირანის წინააღმდეგ ამოქმედებული ეკონომიკური სანქციებით მიღებულ შედეგებს. სანქციებმა სერიოზულად დააზარალა ირანი, მაგრამ ვერ შეარყია ვერც მისი ხელისუფლების და ვერც ხალხის სიმტკიცე. რით შეიძლება ირანმა დაამტკიცოს, რომ არ ამზადებს ბირთვულ ბომბს? საერთაშორისო ატომური ენერგიის სააგენტო აცხადებს, რომ ბირთვული ელექტროსადგურისთვის ირანს 4 პროცენტამდე გამდიდრებული ურანი ესაჭიროება და არა 20 პროცენტამდე, როგორც დღეს. ირანი აცხადებს, რომ მეტი პროცენტით გამდიდრებული ურანი სამედიცინო კვლევებისთვის ესაჭიროება და ა. შ. ზუსტად არავინ იცის, რას აკეთებს ირანი. ვარაუდებზე აწყობილი შეტევა ისეთივე შედეგის მომტანი იქნება, როგორც ერაყში. ებრაული „ჰაარეცის“ მიხედვით ნეთანიაჰუ დაპირდა ობამას, რომ ჯერჯერობით თავს შეიკავებს თავდასხმისაგან, გარდა ამისა, ითანამშრომლებს ამერიკასთან კოორდინირებული მოქმედებისთვის, რაც იმის მანიშნებელია, რომ ისრაელი თავისი გადაწყვეტილების შესახებ წინასწარ შეატყობინებს ვაშინგტონს, თუმცა სხვა სანდო წყაროს ინფორმაციით, **ისრაელის მთავრობას უკვე მიღებული აქვს ირანზე თავდასხმის გადაწყვეტილება იმ შემთხვევაში, თუ ბირთვულ კვლევებში მეტი პროგრესი დაფიქსირდება. აშშ-ს შთამომავლობის ფონდის ექსპერტის არიელ კოენის განცხადებით, ირანის პოლიტიკური წრეების განცხადებები სერიოზულად აშინებს ისრაელს, არადა, როგორ არ უნდა შეეშინდეს, როდესაც გაქრობით ემუქრებიან, არ აღიარებენ მეორე მსოფლიო ომში ებრაელთა გენოციდს და ა. შ. მაგრამ ყოველივე აღნიშნული აისბერგივით ხილული ნაწილია, ის, რაც წყალშია ჩაძირული და არა ჩანს, აშკარად მიმანიშნებელია იმაზე, რომ ირანის ხელისუფალთა განცხადებებს აქვს გარკვეული საფუძველი. და ეს უპირველეს ყოვლისა, მოძმე პალესტინელებია — 60 წლის განმავლობაში ისრაელის მიერ გალახულ-შეურაცხყოფილი. სულ ახლახან, როდესაც მთელი დასავლეთი ერთ ხმაში მოთქვამდა აჯანყებულთა წინააღმდეგ სირიის არმიის მოქმედებაზე, ისრაელის ავიაციამ მორიგი შეტევა მიიტანა ღაზის სექტორზე — შედეგი ჩვეულებრივი, ანუ ისეთი, რასაც ყველა დიდი ხანია მიეჩვია და ხმას არავინ იღებს — 25 დაღუპული, მათ შორის, ბავშვები და ქალები.** თავის განცხადებაში კოენმა თქვა, რომ ნეთანიაჰუს ვიზიტის მიზანი არა მარტო ობამას დარწმუნება იყო სწრაფი შეტევისათვის, არამედ ისიც, რომ ამერიკელებს გადაეცათ მისთვის მძიმეწონიანი ბომბები, რომლებსაც შეუძლია მიწის სიღრმეში განთავსებული ირანის ბირთვული ობიექტების განადგურება. თუ არა ეს ბომბები, ისრაელის იერიშს ნაკლები შედეგი ექნება. ისრაელის არც ავიაცია და არც სამხედრო ტექნოლოგია მსგავსი მრავალდღიანი ოპერაციისათვის მზად არ არის. კოენმა ისიც თქვა, რომ ირანში მოკლული 4 მეცნიერიდან სამს, საერთოდ არ ჰქონდა არავითარი კავშირი ბირთვულ კვლევებთან, ამიტომაც შეარჩიეს ისინი მსხვერპლად. კოენის მიხედვით ტერაქტი ირანის ისლამური რევოლუციის გუშაგების ჩადენილია და არა ისრაელის სპეცსამსახურების. ძნელია დაიჯერო კოენის „სიმართლის“, მაშინ, როდესაც ისრაელის სპეცსამსახურები სწორედ მსგავსი თავდასხმებით არიან სახელგანთქმულები, გარდა ამისა, ირანელი მეცნიერების მკვლელობაზე გარკვევით, ფაქტებით წერს ებრაელი მწერალი და პუბლიცისტი ლევ გუნინი.

თუ ისრაელს არ შეუძლია ირანზე ეფექტიანი იერიშის მიტანა, რას ემსახურება ნეთანიაჰუს პერმანენტული მუქარა? იქნებ სულ სხვა სცენართან გვაქვს საქმე, „ყმაწვილი“ — ისრაელი წამოიწყებს ავანტიურას, რაშიც შემდეგ ჩაერთვებიან დიდი ძმები ამერიკა-ინგლისის სახით. ვაშინგტონის შეხვედრის დროს ობამა-კემერონის განცხადებები ამაზე მიუთითებს. ობამამ აღნიშნა, რომ მოთმინებასაც აქვს საზღვარი და ირანისთვის გაღებული ფანჯარა დღითი დღე ვიწროვდება. როგორც ჩანს, ირანზე შეტევა განხორციელდება, მაგრამ როდის — აშშ-ში პრეზიდენტის არჩევნებამდე თუ — შემდეგ, ჯერ გადაწყვეტილი არ არის. ნეთანიაჰუ ითხოვს არჩევნებამდე თავდასხმას.

რას ფიქრობს ირანი? უპირველეს ყოვლისა, ის ემზადება ექვსეულთან შესახვედრად. ამ შეხვედრას, რომელშიც გაეროს უშიშროების საბჭოს 5 მუდმივი წევრი და გერმანია დაესწრება, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. შეხვედრა აპრილში გაიმართება და მისი შედეგებიდან გამომდინარე მიღებული იქნება შესაბამისი გადაწყვეტილება.

საქმეში ჩაუხედავი ადამიანისთვის ირანის ქცევა ფანატიკოსი თვითმკვლელის ქცევის სადარია, მაგრამ ღრმა ანალიზი საწინააღმდეგოზე მიგვანიშნებს. **დავუშვათ ირანი მართლაც ამზადებს ბირთვულ ბომბს — ის ამ იარაღს ვინმეს, თუნდაც ისარელის წინააღმდეგ გამოიყენებს? ძნელი დასაჯერებელია. ისე, როგორც ის, რომ ისრაელი ირანზე შეტევის დროს საკუთარ ბირთვულ ბომბს გამოიყენებს. ისრაელს რა ხანია აქვს ასეთი, თანაც არაერთი, ამერიკელებისა და ატომური სააგენტოს წაყრუებით. ლიბიის მაგალითმა აშკარად დაარწმუნა ისინი, რომ ერთადერთი რამ, რასაც ირანის გადარჩენა და სუვერენიტეტის შენარჩუნება შეუძლია — ატომური ბომბია. რატომ უნდა დათანხმდეს ირანი ურანის გამდიდრების შეჩერებაზე, ვიდრე აშშ-ისა და მისი მოკავშირეების მხრიდან არ იქნება მისი სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის მტკიცე გარანტიები? ან შეიძლება დასავლეთის სიტყვების ნდობა? ყველას ახსოვს კადაფის გადაწყვეტილება შეეწყვიტა საკუთარ ბირთვულ პროგრამაზე მუშაობა. მან შეასრულა აშშ-ის, დასავლეთის მოთხოვნა — პასუხად კი ტყვია მიიღო შუბლში. საბჭოთა კავშირმა დაუჯერა აშშ-ის პრეზიდენტსა და ადმინისტრაციას, რომ განიარაღების სანაცვლოდ, არ მოხდებოდა ნატოს აღმოსავლეთით გაფართოება და მის რიგებში სოციალისტური ბანაკის ყოფილი ქვეყნების გაწევრება. დაპირება არ შესრულდა.**

**რაღა შორს წავიდეთ — სტამბოლის შეთანხმებიდან და რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკებებიდან გამომდინარე, რუსეთმა ბაზები გაიყვანა საქართველოდან, ნაცვლად ამისა, ის ითხოვდა ერთობლივი ანტიტერორისტული ბაზის შექმნას ბათუმში. მიუხედავად სააკაშვილის თანხმობისა — დაპირება არ შესრულდა. მსგავსი მაგალითების მოყვანა დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს მათი სიმრავლის გამო, რაც იმის მაუწყებელია, რომ 21-ე საუკუნეშიც კი არაფრად აგდებენ, როგორც ხელმოწერილ დოკუმენტს, ისე სიტყვას. და ვიდრე ასეთი დამოკიდებულება იქნება დადებული ფიცის მიმართ, ყოველთვის იქნება საკუთარი ძალებით, თუნდაც ბირთვულით, თავის დაცვისათვის ბრძოლის სურვილი.**

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი

ხმა ბათუმიდან

# ქართველმა მუსლიმანმა მამულიშვილებმა ხელისუფლება გააშიშვლეს!

**რა მისჭირდეს, მაშინ უნდა,**
**გონებანი გონიერსა.**
**შოთა რუსთაველი.**

ძვირფასო თანამემამულენო! ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური თემა, რომელმაც თითქმის დაფარა მოსალოდნელი არჩევნების საკითხი, არის სულთან აზიზის სახელობის მეჩეთის მშენებლობა ბათუმში. ამ მხრივ ხელისუფლებამ მიაღწია იმას, რომ კარგად დაგეგმილი მაპროვოცირებელი პიარკამპანიებით მოსახლეობის ყურადღება საარჩევნო სამზადისიდან ამ მიმართულებით გადაიტანა. მაგრამ ვერ მიაღწია მიზანს.

ხელისუფლება მუსლიმანი მრევლის გულის მოსაგებად, იმათი შეცდომაში შეყვანის მცდელობით, მუდმივად სპეკულირებდა აჭარის მკვიდრ ქართველ მუსლიმანთა დემოკრატიული უფლებების დაცვით, რომ სულთან აზიზის სახელობის მეჩეთი მათთვის შენდებოდა. ასეთი დამოკიდებულება გამიზნული იყო მუსლიმან და ქრისტიან ძმებს შორის შუღლის ჩამოსაგდებად პრინციპით: დაყავი და იბატონე! ამას მოწმობს ყველასთვის ცნობილი ფაქტები, პროვოკატორთა მიერ ურთიერთსაწინააღმდეგო მოწოდებები, რასაც თან ერთვოდა მოსახლეობის წარმომადგენელთაგან გულწრფელი, მაგრამ ხშირად გაუაზრებელი მსჯელობები ქუჩაში თუ სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებით, რაც სინამდვილეში დღითი დღე ძაბავდა დამოკიდებულებას ქრისტიან და მუსლიმან ძმებს შორის, რაც სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა ჩვენს რეგიონს და მთლიანად საქართველოს.

„რა მისჭირდეს, მაშინ უნდა, გონებანი გონიერსა“ — ბრძანებს რუსთაველი. აჭარის ინტელიგენციის წარმომადგენლები დიდად შეწუხებული არიან რეგიონში შექმნილი ყოველდღიურად მზარდი დაძაბული სიტუაციით. ამას მოწმობდა საზოგადოებრივი ორგანიზაციების „მამულიშვილთა საგვარეულო კავშირის“, „ქართულ აკადემიასთან არსებული უხუცესთა სათათბიროს“, „ემსახურე საქართველოს“ და სახალხო კრების ინიციატივით გატარებული მრავალი ღონისძიება...



„აჭარის მამულიშვილთა საგვარეულო კავშირმა“, რომელიც აერთიანებს ყველას, განურჩევლად აღმსარებლობისა, ეროვნებისა და პოლიტიკური შეხედულებისა, გააკეთა მიმართვა თანამემამულეებისადმი, სადაც საფუძვლიანი ფილოსოფიური ანალიზით წარმოდგენილი იყო შექმნილი ურთულესი მდგომარეობა, მისი გამომწვევი მიზეზები, მოსალოდნელი საფრთხე და აქედან გამომდინარე მოწოდება მოსახლეობისადმი — არ წამოეგონ ანტიეროვნული ხელისუფლების მიერ წინასწარ დაგეგმილ პროვოკაციას...

მიმართვას გამოეხმაურნენ ქრისტიანი და მუსლიმანი მრევლის წარმომადგენლები, სასულიერო წინამძღოლები. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო აჭარის მკვიდრ ქართველ მუსლიმანთა ფართო გამოხმაურება. ვინაიდან ხელისუფლება მათი სახელით სპეკულირებდა, გადამწყვეტი სიტყვა ამ პროვოკაციის ასალაგმავად სწორედ მათგან უნდა ყოფილიყო. ეს სიტყვა, ღვაწლმოსილ წინაპართა მსგავსად, მათ ღირსეულად წარმოსთქვეს, რომელიც გაიგო მთელმა საქართველომ და გასცდა მის ფარგლებს.

ქალაქ ბათუმისა და აჭარის სხვადასხვა რაიონიდან 160-ზე მეტი მუსლიმანი ქართველის მიერ საჯაროდ თავისი პოზიციის დაფიქსირება, რომელშიც გამოიხატებოდა მთლიანად ქართველ მუსლიმანთა დამოკიდებულება ამ საკითხისადმი, მათმა წერილობითმა მიმართვამ საქართველოს პრეზიდენტისადმი, სადაც დაგმობილი იყო ქალაქ ბათუმში დამპყრობელი სულთან აზიზის სახელობის მეჩეთის მშენებლობა, საქართველოს ხელისუფლებას მთლიანად გამოაცალა ქართველ მუსლიმანთა სახელით სპეკულირების საფუძველი. ამ მოვლენამ ხელისუფლება მთლიანად „გააშიშვლა“ და ამხილა ანტიეროვნულ ქმედებებში, როგორც პროვოკაციების მთავარი ავტორი.

ვსარგებლობ შემთხვევით და „მამულიშვილთა კავშირის“ სახელით დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ჭეშმარიტ მამულიშვილებს ნ. აბულაძეს, ა. ბარამიძეს, ე. ბერიძეს, ნ. აბულაძეს, ბ. ბოლქვაძეს, თ. ბოლქვაძეს, ა. ბოლქვაძეს, თ. დავითაძეს, მ. მელაძეს, ნ. კეკელიძეს, თ. დავითაძეს, ს. ცეცხლაძეს, ვ. გირვაძეს, ყოველ ხელის მომწერ ადამიანს, ვინც თავისი პოზიცია ხელმოწერით დააფიქსირა და თავისი მამულიშვილური ვალი მოიხადა. სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ მუსლიმანური აღმსარებლობის მოძღვრებმა, ყოფილმა მუფტმა მამუდ ქამაშიძემ და მთავარმა მუფტმა ჯემალ პაქსაძემ დროული გამოხმაურებით ამ საკითხისადმი, ეროვნული ინტერესების დასაცავად ქართველ მუსლიმანთა პოზიცია სრულიად დამარწმუნებელი და საფუძვლიანი გახადეს, ხელი შეუწყეს ქრისტიან და მუსლიმან ძმებს შორის თბილი, მეგობრული ურთიერთობების კიდევ უფრო განმტკიცებას. ამით, მათ ღვაწლმოსილ წინა თაობების, სასულიერო წინამძღოლთა გვერდით, როგორებიც იყვნენ ლომან ქარცივაძე, ახმედ ხალიფაშვილი, ლომან ბერიძე, სკენდერ ცივაძე, სკენდერ თავართქილაძე, მემედ ბოლქვაძე, სიცოცხლეშივე უკვდავყვეს თავიანთი სახელები, როგორც ჭეშმარიტმა მამულიშვილებმა. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ბატონ ჯემალ მეგრელიძეს, ბატონ ნუგზარ ჟორდანიას „აჭარა P. S.“-ის კოლექტივს, ქალბატონ ირმა ინაშვილის, მედიაკავშირ „ობიექტივს“, რომელთაც არ დაზოგეს ძალები ამ იდეის განხორციელებისთვის.

დაბოლოს, — მიუხედავად მიღებული დადებითი შედეგებისა, წინ რთული სამუშაო გველოდება და დიდი სიფრთხილე გვმართებს. ისტერიკაში ჩავარდნილი ხელისუფლება, სხვა არგუმენტი რომ აღარ დარჩა, დამპყრობელ სულთან აზიზის სახელობის მეჩეთის მშენებლობის გასამართლებლად, ახლა უკვე ქართველ ხალხს, ვინც ეწინააღმდეგება ამ ანტიეროვნულ პროექტს, ქსენოფობიასა და ანტითურქულ განწყობაში გვდებს ბრალს, რაც სრულიად უსაფუძვლოა.

ამიტომ, თითქოსდა ოჯკის გადასარჩენად, თურქეთთან კეთილმეზობლობის შესანარჩუნებლად უხეშად გვემუქრება და ხალხის ნების წინააღმდეგ, ძალადობრივად გეგმავს ამ ანტიქართული პროექტის განხორციელებას. ხელისუფლების ასეთი საქციელი საფრთხეს უქმნის ქართველ და თურქ ხალხებს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობების განვითარებასა და განმტკიცებას, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ 1990-იანი წლებიდან დაიწყო და ასე წარმატებულად ვითარდება, რომელსაც ჩვენ გულწრფელად მივესალმებით.

სამწუხარო ფაქტია, რომ სააკაშვილის ხელისუფლების სახით სინამდვილეში საქმე გვაქვს ქსენოფობიის იშვიათ მოვლენასთან, როდესაც ქვეყნის ხელისუფლება ვერ მალავს სიძულვილს საკუთარი ერისა და მშობლიური მიწის მიმართ. მათ მხოლოდ საკუთარი ინტერესები ამოძრავებთ. ეს ყველაფერი კარგად იცის საერთაშორისო საზოგადოებამ, კერძოდ მეზობელმა თურქეთმა, რომელიც მათ საკუთარი ინტერესებისთვის იყენებს. ასეთი ადამიანების შესახებ სიბრძნის საგანძური გვაუწყებს: „სადაც არის ძუნწი და მლიქვნელი, იქ გამოჩნდება ჭკვიანი და მზაკვარი, რომელიც წარმართავს მას საკუთარი გეგმების მიხედვით“, ამას სააკაშვილისა და რურუას ანტიეროვნული პოლიტიკაც მოწმობს.

როგორც საქართველოს ერთ-ერთმა მოქალაქემ, მინდა ვუთხრა კულტურის მინისტრს ბატონ ნიკა რურუას, რომელიც ასე ურცხვად ემუქრება ქართველ ხალხს ანტიეროვნული პროგრამის განხორციელებით, რომ რელიგიის, კულტურის მთავარი დანიშნულებაა ერის კეთილდღეობისთვის ზრუნვა. თუ მე, ჩემი ქვეყნის იმ დარჩენილ ნაწილში, რაც შემოგვრჩენია, ყოველგვარი ღირსება უნდა დავკარგო, დამცირება და შევიწროება ავიტანო საკუთარი ხელისუფლებისგან, მეზობელი ხალხებისგან იმისათვის, რომ ოჯკი არ დაინგრეს, მაშინ მე არ მინდა ასეთი ოჯკი და არც ასეთი მონური ცხოვრება.

ყველაფრის საზომი ადამიანია, ოჯკის მნიშვნელობა კი ქართველთათვის მხოლოდ ღირსეულ ქართველს შეუძლია შეაფასოს! მხოლოდ ასეთი მიდგომით უნდა ვიზრუნოთ ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ კულტურული ძეგლების გადასარჩენად.

რადგანაც ეს თვისებები ხელისუფლებისა და მისი მლიქვნელებისთვის უცხოა, ქართველი ხალხი თავად ვიზრუნებთ, რომ ყველაფერს თავისი სახელი დაერქვას! ამ საქმეში კიდევ ერთხელ ვადასტურებ, რომ ქართველ ქრისტიან და მუსლიმან ძმებს, ღვთის წყალობითა და ჩვენი ხალხის გონიერებით, ყოველთვის ჰქონდა ერთი პოზიცია, ერთსულოვნება, რომლის წინაშე ყოველგვარი პროვოკაცია უძლურია.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე „აჭარის მამულიშვილთა საგვარეულო კავშირი“ მხარს უჭერს 31 მარტს ქალაქ ბათუმში დაგეგმილ საპროტესტო აქციას, რათა ერთად დავიცვათ ჩვენი ეროვნული ღირსება და ინტერესები.

**ნიაზ ბოლქვაძე,**
აჭარის მამულიშვილთა საგვარეულო კავშირის თავმჯდომარე.

სოფელმა „წამოიწია“



# ვაუჩერის ბიზნესი

მშობლიურ სოფელში, სადაც ამ ერთი კვირის წინათ ვიყავი, თოვლის ნასახიც აღარ დამხვდა — თითქოს ფეხი აედგა და სადღაც გაპარულიყო.

— კაცოო, — ვეუბნები მეზობელს, — შენ ეს სასიმინდე ნაკვეთი კიდევ არ მოგიხნავს?

— ფული მე არა მაქ და ტრაქტორი, — თავს იქექავს ჯუმბერა, — მუქთად კიდევა, აბა ვინ მამახნევინებდა?

— რატო მუქთადა, ძმაო, მიგეცა ეგ ოხერი ვაუჩერი, პრეზიდენტმა რომ გაჩუქა, ტრაქტორისტისთვისა და მოგიხნავდა.

— ვაუჩერი კი არა და... — იჯღანება ჯუმბერა, — ნეტა ვინ რა თავში იხლის მაგ შენ ვაუჩერს?

— როგორ, კაცო, აბა ტყუილად გადაყარა მთავრობამ ვაუჩერებში მილიონები?

— რა მილიონები, ჯო, ქუჩაში რომ დაგივარდეს, ზედ არავინ დააფურთხებს.

— არც ტრაქტორისტი, კაცო?

— სწორედ მაგაზე გეუბნები. სოფელში ხუთი ტრაქტორისტი გვყავს, ხუთივეს სათითაოდ ჩამოვუარე, მაგრამ ყველამ პანღური მიჭირა.

— რატომაო, მიზეზად რა გამოიდეს?

— არ არი მიჩვეული ტრაქტორი მაგ ვაუჩერით ძლომას, მაიტა დიზელი ჩავახეთქოთ და სულ კუნტრუშით გამოგყვებაო.

— შენ რაღა უთხარი?

— რა უნდა მეთქვა, მაქ დიზელი, მაგრამ მაგისთვის არ მემეტება-მეთქი? გამოვტრიალდი და წამოვედი.

— არ უთხარი, რო ნაჩუქარს კბილი არ ესინჯება, თანაც პრეზიდენტის ნაჩუქარსა?

— ტრაქტორს ფეხებზე არ ჰკიდია შენი პრეზიდენტი? იმას დიზელი უნდა, მორჩა და გათავდა.

— წამო აბა, ყარაულაანთ ვახტუასთან მივიდეთ, — ვეუბნები, — იმას მე დაველაპარაკები.

ბედზე მექანიზატორი სახლში დამხვდა. მკლავები დაეკაპიწებინა, ცხვირი ტრაქტორის ხახაში ჩაეყო და რაღაცას უჩხიკინებდა.

— შენა, ძმაო, — ვსაყვედურობ ვახტუას, — მეზობელი რატომ გამინაწყენე?

— უყურე მაგასა, ამბავი მოგიტანა? — გაიღრიჭა ტრაქტორისტი.

— აბა რას იზამდა, კაცს პრეზიდენტმა სამადლოდ ვაუჩერი აჩუქა, შენ კიდე თურმე მოხვნაზე უარს ეუბნები.

— მე კი არა, ჯო, ჩემი შამილაა უარზე. ხო იცი ამის პრანჭია თავის ამბავი, წინ შემწვარ-მოხრაკულიც რომ დაუწყო, მაინც დიზელს მოგთხოვს.

— შენც ვაუჩერი გაყიდე და დიზელი იყიდე. მე ჩემ ვაუჩარსაც ჯუმბერას ვაძლევ, 60 ლარად, ძმაო, კაი ბლომად საწვავი მოგივა, მერე დადექი და ხანი და ხანი!

— ხანი და ხანი! — გამომაჯავრა ვახტუამ, — იცოცხლე, კარგია რო ვხნა და ვხნა, მაგრამ იმ 60 ლარს, შენ რომ მახარბებ, ვინ მამცემს?

— ვინა და ბანკი, ჩემო ძმაო, მიხვალ 1 ივნისს ბანკში, წარადგენ ვაუჩერებს და 60 ლარს ჩაიჩხრიალებ.

— მაგრამ ივნისამდე საწვავი რით ვიყიდო? — დასვა კითხვა ტრაქტორისტმა და თვალებში გამომწვევად შემაცქერდა.

— ეგ თქვენი რაიონის გამგებელს უნდა ჰკითხო. შენ რა, არ გაუფრთხილებიხარ?

— რაზე უნდა გავეფრთხილებინე?

— ზემოდან ნაბრძანებია, რომ ტრაქტორისტს ვაუჩერზე უარის თქმის უფლება არა აქვს.

— ჰოო, მაშინ გამგებელი მოვიდეს და პირადად აუხსნას შამილას (ჩემ ტრაქტორზე გეუბნებიძ თავის უფლება-მოვალეობანი.

შევატყვე, ვახტუასგან არაფერი გამოვიდოდა და ისევ ჯუმბერას მივუტრიალდი: კაცოო, მოიფიქრე რამე, როგორ მოვიქცეთ?

— ავდგეთ და ვაუჩერები ტოკლიკაანთ მიტუას მივყიდოთ, — იპოვა გამოსავალი, — თითოში 15 ლარს იძლევა.

— მერე და მიტუა რა თავში იხლის მაგ ვაუჩერებს?

— ეგ თავად იცის, როგორ მოიქცეს, რახანია ვაუჩერების ბიზნესი აქ.

— ბიზნესი?— პირი დავაღე.

— ჰო, რა გიკვირს. ახლა თითო ვაუჩერში 15 ლარს აძლევს, ივნისში ბანკს მიადგება და 30 ლარს წაართმევს. აბა იანგარიშე, რა მოგებას გამოკრავს ხელს?!

რას ერჩი, ძმაო, გავიფიქრე ჩემთვის, საკმაოდ გონიერი და წინდახედული პრეზიდენტი გამოგვადგა — რაღაცას 30-ლარიანი ვაუჩერით ერთბაშად სოფელიც წამოსწია და ბიზნესიც განავითარა(!ძ.

**ოთარ ჩართოლანი**

ინფორმაცია

## პრეზიდენტის ვიზიტის დროს გატაცებული პედაგოგი პროკურატურასთან თვითმკვლელობით იმუქრება

**კახეთში,** სოფელ მელაანის საჯარო სკოლაში საქართველოს პრეზიდენტის ვიზიტის დროს, პოლიციელების მიერ გატაცებული პედაგოგი ლამზირა ყორჩიშვილი, პროტესტის ნიშნად, პროკურატურასთან თვითმკვლელობით იმუქრება. ინფორმაციას ამის შესახებ „კახეთის საინფორმაციო ცენტრი“ ავრცელებს

ლამზირა ყორჩიშვილმა პროკურატურას საქმის გამოძიების თხოვნით არაერთხელ მიმართა, მაგრამ უშედეგოდ.

„ბევრჯერ მივმართე პროკურატურას, წერილებიც გავაგზავნე, მაგრამ ყურადღებას არავინ მაქცევს. დავდივარ ასე შეურაცხყოფილი და ზოგიერთი დამცინის კიდეც, რაო, ჟურნალისტებმა რომ გააშუქეს, რა ხეირი ნახეო? სოფელში ხმა გაავრცელეს, რომ თითქოს მელაანის სკოლის აფეთქება მინდოდა, რომელიც პრეზიდენტს უნდა გაეხსნა. სირცხვილით ვიწვები ისეთ რაღაცებს იგონებენ. ისეთ დღეში ვარ, ლამის თავი მოვიკლა. მხოლოდ საქმის გამოძიებას ვითხოვ, მეტს არაფერს, თუ არადა, პროკურატურის წინ თავს დავიწვავ“, — ამბობს ლამზირა ყორჩიშვილი.

ინტერპრესი

**რა ხდება?**

*ძნელი სათქმელია, რამდენად უკავშირდება ლოთი ქობალიას სახელის რეაბილიტაციის მცდელობა ბოლო დღეებში ოპოზიციის ლიდერების მიერ გახმაურებულ განცხადებას იმასთან დაკავშირებით, რომ სამეგრელოში საეჭვო წარსულის შეიარაღებული ჯგუფების გააქტიურება შეიმჩნევა და მოსალოდნელია სამოქალაქო კონფრონტაცია, მაგრამ ფაქტია, რომ ქობალია სწორედ ის ფიგურაა, რომელსაც ხელეწიფება აღნიშნული ჯგუფების ორგანიზება-მობილიზება.*

*გაზეთ „ქრონიკის“ 12-18 მარტის ნომერში გამოქვეყნებულ მასალაში ჟურნალისტი დიტო ჩუბინიძე აცხადებს, რომ მისი ინფორმაციით ჟურნალისტ დავით ბოლქვაძის დახვრეტის საქმეში ახალი გარემოებები გაჩნდა. ჩუბინიძის ინფორმაციით, დავით ბოლქვაძე ლოთი ქობალიას კი არა, ბადრი ზარანდიას დაუხვრეტია.*

*ჟურნალისტის მიერ მომზადებული მასალიდან ახალი გარემოებების შესახებ მხოლოდ იმას ვიგებთ, რომ დავით ბოლქვაძე ხობში ჟურნალისტური საქმიანობის ნაცვლად მოროდიორობითა და არასრულწლოვანების გაუპატიურებით იყო დაკავებული, რის გამოც ის და მასთან ერთად მყოფი სამი პიროვნება ვინმე თენგიზ მხეიძეს შეუპყრია და ზუგდიდის კომენდატურისთვის გადაუცია. ამას რესპონდენტები, სამოქალაქო ომის დროს მოკლული მხატვრის, ვახტანგ ნოდიას ძმა ვალერი ნოდია და ყოფილი გვარდიელი თენგიზ (ჩიქო) მხეიძე ყვებიან.*

# ციხის საკნიდან – პოლიტიკურ ორომტრიალში?!



## რატომ ცდილობენ ლოთი ქობალიას რეაბილიტაციას?

საზოგადოებისათვის ცნობილია, რომ ლოთი ქობალიას საქმესთან დაკავშირებით სასამართლო პროცესი ორჯერ გაიმართა. საქმის მასალები და მოწმეთა ჩვენებები რადიკალურად ეწინააღმდეგება იმას, რასაც დიტო ჩუბინიძის რესპონდენტები ყვებიან, მაგრამ ნუ ჩავთვლით, რომ ამის გამო სამართალდამცველები ვალდებული არ არიან ახალი გარემოებებიდან გამომდინარე, დადგინონ ფაქტი და ამდენად, მკვლელობაში ბრალდებული დამნაშავე დასაჯონ. მეორეც – მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალისტ დავით ბოლქვაძის მკვლელი ლოთი ქობალია შეწყალებულია, იგი რეაბილიტირებული არ არის. **შესაბამისად, თუკი ახალი ფაქტები დადგინდება და აღმოჩნდება, რომ თავის დროზე სასამართლოში მიცემული ჩვენებებისას მოწმეები ტყუოდნენ, ექსპერტიზა კი ცრუობდა, ქობალიას რეაბილიტაციას წინ ვერაფერი დაუდგება.**

თუმცა, ჩუბინიძის მიერ მოყვანილი მოწმეების ჩვენებები იმდენად აცდენილია რეალურ თარიღებსა და გეოგრაფიას, რომ ძნელად წარმოსადგენია, რამდენად შეიძლება მათზე დაყრდნობით ლოთი ქობალიას საქმის გადახედვა.

ვინც კარგად იცნობს ამ საქმის დეტალებს, მათთვის გასაგებია, რა უზუსტობებიცაა დაშვებული ინტერვიუში. დაინტერესებულებისთვის არსებობს უამრავი დოკუმენტური და სამართლებრივი მასალა, რომლებზეც ხელი ყველას მიუწვდება.

ამას გარდა, არსებობს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი, რომლის გამოც საქმეში ახალი გარემოებების „გაჩენა“ და, შესაბამისად, თემის აქტუალიზაცია მხოლოდ ლოთი ქობალიას „გათეთრებისა“ და ჟურნალისტ დავით ბოლქვაძის „გაშავების“ პიარხერხი უნდა იყოს: ჩუბინიძის მიერ ბოლქვაძის მკვლელად დასახელებული ბადრი ზარანდია რამდენიმე წლის წინათ მოკლეს. ასე რომ, ამ ეტაპზე საქმის ორი მთავარი მონაწილე – დაზარალებული დავით ბოლქვაძე და სავარაუდო ბრალდებული ბადრი ზარანდია მოწმეებად ვერ გამოდგებიან. რაც შეეხება რესპონდენტებს, ისინი, პრინციპში, პირდაპირ აცხადებენ, რომ მკვლელობის ფაქტს არ შესწრებიან და ამდენად, მხოლოდ მავანთა მონათხრობს იმეორებენ. არადა, არც ერთი მსგავსი ჩვენება არც ერთ სასამართლო პროცესზე არ დაფიქსირებულა.

ლოთი ქობალიას საქმესთან დაკავშირებით სასამართლო პროცესი ორჯერ გაიმართა: პირველად – 1993 წელს. პროცესი 11 თვეს გრძელდებოდა, მაშინ ქობალიას სასამართლომ სიკვდილით დასჯა მიუსაჯა, თუმცა შემდეგ სასჯელის ეს ზომა საერთოდ გაუქმდა და, ამდენად, ქობალიას 20 წლის პატიმრობა შეეფარდა. ამის შემდგომ მას ციხიდან გაპარვის მცდელობისათვის კიდევ 6 წელი დაემატა. ხოლო მოგვიანებით, შერიგებისა და თანხმობის კომისიის ინიციატივით, საქმე ხელახლა გადაიხედა: **ქობალიას სამშობლოს ღალატის ბრალდება მოეხსნა, თუმცა, ჟურნალისტისა და სამხედრო ტყვეების დახვრეტის ბრალდება ძალაში დარჩა.**

უნდა აღინიშნოს, რომ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ჟურნალისტის დახვრეტა სერიოზული ბრალდებაა, რომელსაც ვერც ერთი ხელისუფლება ვერ წაუყრუებს, მით უმეტეს, რომ დავით ბოლქვაძე იმ დროს ტელეკომპანია WTN-ის თანამშრომელი იყო და, ამდენად, ყველა საერთაშორისო ორგანიზაცია და ყველაზე გავლენიანი ტელეარხები დაინტერესდნენ ბოლქვაძის მკვლელობით.

თუმცა, ქობალია შეიწყალეს და, როგორც ირკვევა, არა ჰუმანური, არამედ პოლიტიკური მოსაზრებებით.

ვარდების რევოლუციის შემდეგ, 2004 წლის 13 თებერვალს ახლადგაპრეზიდენტებული მიხეილ სააკაშვილის ინიციატივით, პრეზიდენტი დახვრეტილი ჟურნალისტის დედას ლია ისიან-ბოლქვაძეს შეხვდა. შეხვედრა სააკაშვილის მაშინდელ კაბინეტში შედგა და მას გოგა ხაინდრავაც ესწრებოდა.

ლია ისიანი-ბოლქვაძე: „**სააკაშვილმა ჯერ მითხრა, რომ ლოთი ქობალიას შეწყალება უნდოდა, რადგან ეს პოლიტიკური მიზნებისათვის სჭირდებოდა. პრეზიდენტის თქმით, სამეგრელოს ტყეებში გაფანტული შეიარაღებული ადამიანები სამოქალაქო ომის საფრთხეს ქმნიდნენ და, როგორც ჩანს, ქობალია მათ დასაშოშმინებლად იყო საჭირო. მე ვთხოვე სააკაშვილს, რომ პრეზიდენტი, რომელიც ჩემი შვილის თანატოლი იყო, ნუ დაიწყებდა საკუთარ მოღვაწეობას ჟურნალისტის დახვრეტაში ბრალდებული კაცის შეწყალებით. სააკაშვილმა ამის შემდეგ თქვა. რომ ქობალიას არ შეიწყალებდა და მხოლოდ 6 წელს ჩამოაკლებდა. თან დააყოლა, რომ თუკი ქობალია ოდესმე პოლიტიკაში დაბრუნებას დააპირებდა, მას კვლავ ციხეში შეაბრუნებდა**“. ლია ისიანმა ირწმუნა, რომ სააკაშვილი სიტყვას არ გატეხდა, თუმცა ამ შეხვედრიდან ძალიან მალე, **2004 წლის მაისში, სააკაშვილმა ლოთი ქობალია შეიწყალა და ციხიდან გაათავისუფლა.**

ცნობისათვის – ლოთი ქობალია დღემდე ზუგდიდში ცხოვრობს და ადგილობრივები იმასაც ამბობენ, რომ ის ზუგდიდის გამგებლის ალიკა ქობალიას ნათესავია.

**დავით ბოლქვაძის ოჯახის წევრები ყვებიან, რომ გათავისუფლებიდან მალევე, თვითმმართველობის არჩევნებისას, ლოთი ქობალია ნაციონალების სიაშიც იყო ჩართული, თუმცა ოჯახის მიერ მოწყობილი რამდენიმე პრესკონფერენციის შემდეგ იგი სიიდან ამოიღეს.**

ნაციონალებმა მაშინ ქობალიაზე უარი თქვეს, თუმცა ქობალია პოლიტიკაში მაინც დაბრუნდა, ამჯერად უკვე ნოღაიდელის პარტიაში და როდესაც ნოღაიდელის პარტიამ ოზურგეთის თეატრში მისი საჯაროდ წარდგენა დააპირა, ამ მცდელობასაც ისევ ბოლქვაძის ოჯახის აქტიურობამ შეუშალა ხელი. **როგორც ჩანს, ქობალია ის ფიგურაა, რომელიც ჩადენილი დანაშაულის მიუხედავად, არანაირ დისკომფორტს არ უქმნის ხელისუფლებას და სხვა ოპოზიციური ძალებისაგან განსხვავებით, პოლიტიკური აქტიურობისას მას პრობლემები არ ექმნება.**

ახლა კი ლია ისიანი-ბოლქვაძის კიდევ ერთი მონათხრობი, რომელიც ერთნაირად უკავშირდება როგორც ზვიად გამსახურდიას, ისე ბადრი ზარანდიას, რომელიც „ქრონიკის“ ინფორმაციით, დავით ბოლქვაძის ნამდვილი მკვლელია (ცნობისათვის, ქობალიას თავის პირველ ჩვენებაში, რომელიც გამომძიებელ თოფჩიევს მისცა, თავად აქვს აღიარებული, რომ მრისხანების მომენტში ხობის მოედანზე საკუთარი ხელით დახვრიტა დავით ბოლქვაძე და დანარჩენი სამხედრო ტყვეებიძ.

ლია ისიანი-ბოლქვაძე: „**ჩემი შვილის სიკვდილის შემდეგ მე დამიძახა მისმა მეგობარმა, სააგენტო „როიტერის“ კორესპონდენტმა დათო ჩხიკვიშვილმა. შემიყვანა ოფისში და მაჩვენა მის მიერ 1993 წლის ივლისში გადაღებული ვიდეომასალა. ეს ის პერიოდია, როდესაც ზვიად გამსახურდია ჩეჩნეთიდან სამეგრელოში დაბრუნდა. ამ მასალაზე ზვიადია გადაღებული შეხვედრაზე, რომელსაც ლოთი ქობალიაც ესწრება. ზვიადი ქობალიას მოღალატეს უწოდებს და მის ნაცვლად სარდლად ბადრი ზარანდიას ასახელებს. მასალის ყურებისას დათო ჩხიკვიშვილმა ქობალიას თვალებსა და გამოხედვაზე გამამახვილებინა ყურადღება. ჩხიკვიშვილმა მითხრა, იცოდე, ეს ზვიადსაც მოკლავს და ზარანდიასაცო. მაშინ ზვიადი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, თუმცა ამ ამბებიდან მალევე დაიღუპა. რაც შეეხება ბადრი ზარანდიას, ის ზვიადისტი იყო და ციხეშიც საკმაოდ დიდხანს იჯდა, თუმცა ამ რამდენიმე წლის წინათ, უკვე გათავისუფლებული, ზუგდიდის კაფეში ჩაცხრილეს. გაუგებარ ვითარებაში მოხდა ეს მკვლელობა**“.

ლია ისიანი-ბოლქვაძე, დარწმუნებულია, რომ ბადრი ზარანდიას 1993 წლის 27 ნოემბერს ხობში მისი შვილი არ მოუკლავს.

კიდევ რამდენიმე საყურადღებო დეტალი ბოლქვაძის საქმიდან:

არსებობს 1993 წლის ნოემბერში ჟურნალისტ ირმა ინაშვილის მიერ მომზადებული და ეთერში გასული მასალა, რომლის ასლიც ბოლქვაძის ოჯახს აქვს შენახული. აღნიშნულ მასალაში ქობალიას ორი გვარდიელი, ერთ-ერთი – გვარად ბულესკირია, იძლევა აღიარებით ჩვენებას, რომ ლოთი ქობალიას ტყვეების დასახვრეტად სპეციალური რაზმები ჰყავდა. ბულესკირიას აღმოაჩნდა დათო ბოლქვაძიას ჟურნალისტის მოწმობა და მასთან ერთად უამრავი დახვრეტილი სამხედრო ტყვის საბუთები. ამასთან – შსს-სა და უშიშროების სამსახურების შეუვსებელი ბლანკები, რომლებიც აფხაზეთში ვინმე ვადიმისათვის უნდა გადაეცა. ბულისკირია და მეორე პიროვნება ამ საბუთების გადატანისას დააკავეს გალში. სხვათა შორის, ისინი წითელი ჯვრისათვის მოპარული მანქანით გადაადგილდებოდნენ.

**WTN-ის თანამშრომლებმა კი საკუთარი ტელეკომპანიის BTK-ის კამერა აფხაზების ხელში ნახეს, რომლებიც აცხადებდნენ, რომ ეს იყო ალაფი დახვრეტილი ქართველი ჟურნალისტისაგან, რომელიც მათ ქობალიამ აჩუქა (დავით ბოლქვაძე დახვრეტისას WTN-ისათვის იღებდა მასალას).**




**როგორც ჩანს, ქობალია ის ფიგურაა, რომელიც აფხაზურ მხარეს უფრო წყალობდა, ვიდრე ქართველებს. არადა, ხობსა და ზუგდიდში ბევრს ახსოვს, როგორ უწვავდა ქობალია სახლ-კარს იმ ადამიანებს, რომლებიც აფხაზების წინააღმდეგ იბრძოდნენ. ქობალიას კისერზეა საქართველოს ისტორიის უმძიმესი ეპიზოდიც: სოხუმიდან დევნილი მშვიდობიანი მოსახლეობისთვის ზუგდიდის გზის ჩაკეტვა, რასაც ჭუბერის უღელტეხილზე ასობით ადამიანის გაყინვა და სიკვდილი მოყვა.**

**რას უკავშირდება ქობალიას გავლენები აფხაზეთსა და სამეგრელოში? ამ კითხვაზე პასუხი ერთმნიშვნელოვანი ვერ იქნება, მაგრამ ერთი დეტალი ბევრზე მეტყველებს: ლოთი ქობალია სუზდალში ე.წ. კაგებეს ბაზაზე დააკავა საქართველოს უშიშროების სამსახურმა, რომელსაც იმ პერიოდში ასევე უშიშროების კაგებეს გენერალი იგორ გიორგაძე ხელმძღვანელობდა. როგორ აღმოჩნდა ქობალია სუზდალის გასაიდუმლოებულ ბაზაზე გასაგებია, თუმცა რატომ გაწირა მაშინ ის რუსულმა კაგებემ, გაუგებარია. თუმცა, ფაქტია, რომ ქობალია ამის შემდეგ სიკვდილით დასჯასაც გადაურჩა, სასჯელსაც და ამის შემდეგ ქართულ პოლიტიკაში რეაბილიტაციასაც შეეცადა.**

**ნიკა ასლანიძე,** Presage.tv

## რას წერენ ჩვენზე

# სააკაშვილმა არალოიალურ ბიზნესმენებს შეუტია

**საქართველოს პარლამენტმა მიიწვია საკონტროლო პალატის თავმჯდომარე ლევან ბეჟაშვილი განმარტებების მიღებისთვის იმ ბიზნესმენებზე მისი სტრუქტურის შეტევის ფაქტთან დაკავშირებით, რომლებიც ხელისუფლებასთან ოპოზიციაში იმყოფებიან.**

ახალი კანონი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ", რომლის მიხედვითაც კონტროლის პალატას ევალება საფინანსო მონიტორინგი პოლიტიკურ პარტიებზე, ორგანიზაცია ასრულებს არც ისე გულმოდგინედ, რაც ბიზნესმენების მრავალრიცხოვან საჩივრებს იწვევს. მომხდარმა სამართალდაცვის ორგანიზაციების ყურადღება მიიპყრო. შეშფოთება მომხდარდთან დაკავშირებით გამოთქვა საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა ჯონ ბასმაც.

ცხადია, საქართველოს ხელისუფლებამ იგრძნო სერიოზული შეშფოთება, რომელიც მოდის პოლიტიკური კოალიციის „ქართული ოცნების" მხრიდან, რომელიც მილიარდერმა ბიძინა ივანიშვილმა შექმნა. კონტროლის პალატის დავალება გამოიძიოს უკანონო საფინანსო სქემები, რომლებიც ქვეყნის პოლიტიკურ სისტემაში მოქმედებენ, ეხებოდა, საერთოდ, ამ სახიფათო ოპონენტის საქმიანობას. მთელი რიგი დარღვევების გამოვლენის შემდეგ, რომლებსაც, სხვათა შორის, თავად ოპოზიცია არ იზიარებს, და როდესაც ივანიშვილი დააჯარიმეს ერთი მილიონი ლარით, კონტროლის პალატა ამაზე არ შეჩერებულა და დაიწყო პასუხგების მოთხოვნა სხვადასხვა კალიბრის ბიზნესმენებისგან, რომლებიც შესული არიან კოალიციაში, ანდა აპირებენ შეუერთდნენ მას.

ქვეყანა განსაკუთრებით შეაშფოთა ვიდეორგოლებმა, რომლებიც, როგორც ჩანს, „ქართული ოცნების" პრესსამსახურის მიერ იყო გავრცელებული, სადაც მოთავსებული იყო მეწარმის, ეროვნებით აზერბაიჯანელის საუბარი. ახალგაზრდა კაცმა ამ პოლიტიკური ორგანიზაციის ლოგოტიპის ფონზე კამერაში ისაუბრა იმის შესახებ, თუ როგორ გამოცხადდა, მიღებული უწყების შესაბამისად, კონტროლის პალატაში დანიშნულ დროს, როგორ გაიარა ლითონსაძიებელი, ამის შემდეგ როგორ მოუწია გაევლო ასევე დამამცირებელი პიროვნული ჩხრეკა (რატომღაც აიძულეს ტანთ გაეხადა და გაშიშვლებული იყო წელამდეძ, შემდეგ კი რამდენიმე საათის განმავლობაში უპასუხებდა უცნაურ შეკითხვებზე, რომელთა უმრავლესობასაც არანაირი ურთიერთობა არ გააჩნდა მის ბიზნესთან. „კუდის ძირამდე მეკითხებოდნენ, თუ რატომ ვარ ივანიშვილის ორგანიზაციის შემადგენლობაში... მემუქრებოდნენ იმის გამო, რომ მე ხელს ვუწყობ საქართველოში ახალი ხელისუფლების გაჩენას, რომელიც ტოლერანტული სააკაშვილისგან განსხვავებით გამოგვყრის მე და ჩემს თანამემამულეებს საქართველოდან. ამ დროს მიწოდებდნენ არა აზერბაიჯანელს, არამედ რაღაც სხვაგვარად, ამცირებდნენ ჩემს ეროვნულ ღირსებას", – დაახლოებით ასეთი სიტყვებით აღწერდა იგი მასთან მომხდარს კონტროლის პალატაში. რაიმე კონკრეტული პრეტენზია მის ბიზნესთან კონტროლის პალატის თანამშრომლებს არ აღმოაჩნდათ.

ანალოგიური ამბები მთელ ქვეყანაში ცოტა როდი იყო. ავტორიტეტულმა საერთაშორისო სამართალდაცვის ორგანიზაციამ „ემესტი ინტერნეიშენელმა" გაავრცელა სპეციალური განცხადება, რომელშიც მოუწოდა საქართველოს კონტროლის პალატას პატივი სცეს ადამიანის უფლებებსა და ღირსებას და გამოთქვან შეშფოთება იმის გამო, რომ „მთელ საქართველოში ოპოზიციური პარტიების წევრებისა და მომხრეების მიმდინარე დაკითხვებს თან ახლდა სამართლებრივი გარანტიების დარღვევები და ოპოზიციის მომხრეთა დაშინებანი". ცალკე აბზაცში მითითებულია, რომ „დაკითხვებზე იწვევდნენ მხოლოდ ბიძინა ივანიშვილის ოპოზიციური მოძრაობის მომხრეებს", აგრეთვე „უპარტიოებს, რომელთა მიმართაც ჰქონდათ ეჭვი, რომ ისინი მხარს უჭერენ ოპოზიციას". „დაკითხვებს თან ახლდა მოქალაქეთა უფლებების მრავალრიცხოვანი დარღვევები, მათ უარს ეუბნებოდნენ საადვოკატო მომსახურებაზე... ოპერაციას აქვს პოლიტიკური სარჩული და მიზნად ისახავს ოპოზიციის მომხრეთა დაშინებას", – ასეთ დასკვნას აკეთებს საერთაშორისო ორგანიზაცია.



უფრო მკვეთრი რეაგირება კონტროლის პალატის მოქმედებებზე გააკეთა თავად ოპოზიციამ. კოალიცია „ქართული ოცნების" პრესსპიკერმა მაია ფანჯიკიძემ, როდესაც სიტუაციას კომენტარს უკეთებდა, განაცხადა: „ჩვენ უცხოელ დიპლომატებს გადავეცით დოკუმენტაცია კონტროლის პალატის უკანონო ფაქტების შესახებ... უწყებები, რომელთა მიხედვითაც იწვევენ დაკითხვებზე საქართველოს მოქალაქეებს, არ არის სამართლიანი. ისინი შედგენილია კონტროლის პალატის არა ოფიციალურ ბლანკებზე, არამედ სხვადასხვა უწყების ქვეშ არის ერთი და იგივე ჩინოვნიკის სრულიად სხვადასხვა ხელმოწერები". ივანიშვილის თანამებრძოლი, ცნობილი ფეხბურთელი კახა კალაძე დარწმუნებულია, რომ „ეს მოქმედებები გამოწვეულია სააკაშვილისა და მისი გუნდის პანიკური შიშით, რომ დამარცხდებიან პარლამენტის შემოდგომის არჩევნებზე".

„ჩვენ დავიცავთ თითოეულ ჩვენს აქტივისტს", – თქვა მან. მომხდარს უყურადღებოდ არ ტოვებს თავად ივანიშვილიც, რომელმაც მოუწოდა ხელისუფლებას შეეშვას ხალხს და ნუ სდევნის მათს პოლიტიკურ შეხედულებებს. დიდ ჯარიმებთან დაკავშირებით კი, რომელიც მას კონტროლის პალატამ გამოუწერა, უფრო ადრე კი სხვა ფისკალურმა ორგანოებმაც, მილიარდერი აღნიშნავს, რომ არ ცნობს მათ კანონიერებას, გამოთქვა იმედი, რომ ეს სახსრები არ აღმოჩნდება ვინმეს ჯიბეში, შევა ბიუჯეტში და გამოყენებული იქნება რაიმე კეთილი საქმისთვის, რაც, არსებითად, მას თავადაც უნდა, რომ გააკეთოს მისთვის გამოწერილი ფინანსური სანქციების გარეშე.

საქართველოში ატეხილმა ხმაურმა აიძულა პარლამენტის სპიკერი დავით ბაქრაძე, გამოეძახა კონტროლის პალატის თავმჯდომარე ბეჟაშვილი განმარტებებისთვის. მანაც არ დააყოვნა და სამშაბათს დილით გამოცხადდა ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს იურიდიული და საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე. ოპოზიციური დეპუტატების მოწოდებაზე გადაარჩინოს თავისი ღირსება, გადადგეს და ამით „შეაჩეროს ტრაგედია, რომელშიც შეჰყავს ქვეყანა პრეზიდენტ სააკაშვილს", ბეჟაშვილმა მოუწოდა ყველას... ჩაერთონ „პოლიტიკური პარტიების ფინანსურ გაუმჭვირვალობასთან ბრძოლაში, ვინაიდან კონტროლის პალატა მხოლოდ თვითონ რეაგირებს დარღვევებზე". საერთოდ, ამ სხდომაზე საუბარი ყრუს მუნჯთან ურთიერთობას მოგვაგონებდა, რომლის ბოლოსაც კონტროლის პალატის თავმჯდომარემ ერთგვარი დაპირებებითა და სიტყვა „შეიძლებას" გამოყენებით დადო პირობა, რომ გაავრცელებს დაკითხვათა ვიდეომასალებს.

ამ დროს მეთვალყურეები აღნიშნავენ, რომ მომხდარი, იმისგან დამოუკიდებლად შეწყდება თუ არა კონტროლის პალატაში მეწარმეთა გამოძახებები და დაკითხვები, ეჭვქვეშ აყენებს საქართველოში ბიზნესკლიმატის კეთილსაიმედოობას, რითაც ასე ამაყობს ხელისუფლება და რაც, პოზიტიური თვალსაზრისით, უსაფუძვლოდ აღნიშნულია ზოგიერთ რეიტინგში, რომელიც შედგენილია მსოფლიო სხვადასხვა სააგენტოს მიერ. ცხადია, ამიერიდან მშვიდად შეუძლიათ იგრძნონ თავი მხოლოდ უცხოელებს, აგრეთვე ხელისუფლების ერთგულ ბიზნესმენებს.

НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА

# სამხრეთ ოსეთი: გენერალური პროკურორის გადადგომა არჩევნებამდე ხუთი დღით ადრე

**სამხრეთი ოსეთის გენერალური პროკურორი თაიმურაზ ხუგაევი თვითგამოცხადებულ რესპუბლიკაში არჩევნებამდე ხუთი დღით ადრე გადადგა. ხუგაევის გადადგომა იყო შეთანხმების ერთ-ერთი პირობა, რომელიც მიღწეულ იქნა ედუარდ კოკოითსა – ის მაშინ სამხრეთი ოსეთის პრეზიდენტი იყო – და სახელმწიფოს მეთაურის პოსტზე კანდიდატ ალა ჯიოევას შორის.**

ხუგაევმა თქვა, რომ გადაწყვიტა ამ ნაბიჯის გადადგმა 25 მარტისთვის დანიშნული სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტის ახალი არჩევნების წინა პერიოდში.

„მიმაჩნია, რომ ხალხის მიერ არჩეულ ხელისუფლების ახალ ხელმძღვანელს უნდა შეეძლოს დაიწყოს მუშაობა უკან მოხედვის გარეშე, ააგოს სახელისუფლო სტრუქტურები, დაეყრდნოს პროცესების განვითარების საკუთარ ხედვას", – ნათქვამია განცხადებაში.

გენერალური პროკურორის გადადგომა, კონსტიტუციის თანახმად, უნდა განიხილოს და მიიღოს გადაწყვეტილება რესპუბლიკის პარლამენტმა.

შარშან დეკემბერში ხუგაევს უნდა დაეტოვებინა გენერალური პროკურორის პოსტი შეთანხმების თანახმად, მაგრამ ამ გადაწყვეტილებას პარლამენტარებმა მხარი არ დაუჭირეს.

შარშან 27 ნოემბერს ალა ჯიოევა პრეზიდენტის არჩევნების მეორე ტურში ლებულობდა მონაწილეობას თვითგამოცხადებულ რესპუბლიკაში, რომელსაც მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობა საქართველოს ტერიტორიად მიიჩნევს. სამხრეთ ოსეთის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გამოაცხადა, რომ ჯიოევამ მოიპოვა დამაჯერებელი გამარჯვება თავის მეტოქეზე, ადგილობრივი საგანგებო სიტუაციათა სამინისტროს ხელმძღვანელზე ანატოლი ბიბილოვზე, რომელსაც აქტიურად უჭერდა მხარს კრემლი.

მაგრამ სამხრეთ ოსეთის უმაღლესმა სასამართლომ არჩევნები არასამართლიანად მიიჩნია დაშვებული დარღვევების გამო, პარლამენტმა კი ახალი პრეზიდენტის არჩევნები 25 მარტისთვის დანიშნა.

ჯიოევა ამ გადაწყვეტილებას არ დაეთანხმა და თავი არჩეულ პრეზიდენტად გამოაცხადა, მისმა მომხრეებმა კი ცხინვალის ცენტრალური მოედანი დაიკავეს.

ხელისუფლებისა და ოპოზიციის დაპირისპირება გრძელდებოდა მანამ, სანამ მიმავალმა პრეზიდენტმა ედუარდ კოკოითმა და ალა ჯიოევამ არ მიაღწიეს შეთანხმებას სიტუაციის მოწესრიგების შესახებ.

კომპრომისული შეთანხმების თანახმად, კოკოითი უნდა წასულიყო პრეზიდენტის პოსტიდან, ჯიოევას გაეყვანა თავისი მომხრეები დედაქალაქის მთავარი მოედნიდან, სადაც ისინი მიტინგს მართავდნენ ათი დღის განმავლობაში.

შეთანხმების ერთ-ერთი პირობა იყო რესპუბლიკის გენერალური პროკურორის ხუგაევისა და სხვა ჩინოვნიკების გადადგომა.

10 დეკემბერს კოკოითი წავიდა პრეზიდენტის პოსტიდან, უფლებამოსილება დროებით გადაეცა სამხრეთ ოსეთის პრემიერ-მინისტრს ვადიმ ბროვცევს. გამოცხადდა იმის შესახებ, რომ ჯიოევას შეუძლია მიიღოს მონაწილეობა 25 მარტის არჩევნებში.

12 იანვარს ჯიოევამ განაცხადა იმის შესახებ, რომ უკან იწვევს თავის ხელმოწერას კოკოითთან კომპრომისულ ხელშეკრულებაზე. ამას განმარტავდა იმით, რომ მისი მოთხოვნები არ სრულდება, კერძოდ, არ გაათავისუფლეს გენერალური პროკურორი ხუგაევი.

BBC RUSSIAN.com

## დედამიწის ზურგზე



**უკრაინამ აღიარა პუტინზე თავდასხმის მომზადების ფაქტი, მაგრამ შეთქმულებს არ გასცემს**

ადრე უკრაინელი გამომძიებლები აღნიშნავდნენ, რომ, მიუხედავად ეჭვმიტანილების აღიარებისა, იმის დადასტურება, რომ ისინი ამზადებდნენ პუტინზე თავდასხმას, მათ არ შეუძლიათ. ახლა ასეთი დადასტურებანი აღმოჩნდა, ირწმუნებიან უკრაინის უშიშროების საბჭოში. საქმის ორ ფიგურანტს წაუყენეს ახალი ბრალდებები, მაგრამ რუსეთში ესტრადაცია ჯერჯერობით მათ არ ემუქრებათ.

* * *

**მექსიკაში 7,9 ბალის მიწისძვრამ ასობით სახლი დაანგრია**



ყველაზე სერიოზულად დაზარალდა ჰერეროს შტატი – დაახლოებით 860 სახლი დაზიანდა და 60 დაინგრა. სტიქიის შედეგები აღმოჩნდა მეხიკოშიც. დედაქალაქში გადაიხარა ბევრი შენობა, დაზიანდა ფეხით სასიარულო ხიდები და მეტროპოლიტენი. მაგრამ ხელისუფლება ირწმუნება, რომ სერიოზული ზიანი მიწისძვრას არ მოუტანია. დაშავდა 7 კაცი.

* * *

**პოლიციამ ალყაში მოაქცია ტულუზაში ებრაელთა სკოლის მახლობლად განხორციელებულ სროლაში ეჭვმიტანილის სახლი. მან განაცხადა, რომ შედის „ალ-ქაიდაში"**



სააგენტოს მონაცემებით, პოლიციელებმა დაიწყეს შტურმი ქალაქის ერთ-ერთ გარეუბანში – სახლში იმყოფება 24 წლის მამაკაცი. დაზარალდა სულ ცოტა ორი პოლიციელი. გასულ ორშაბათს დამნაშავემ სკუტერზე ყოფნის დროს ებრაულ სკოლასთან დახოცა 3 ბავშვი და ერთი მასწავლებელი, მძიმედ დაიჭრა 17 წლის მოზარდი.

* * *

**მიტ რომნიმ ილინოისში ადვილად მოიგო პრაიმერიზი**

მეთვალყურეთა აზრით, ეს გამარჯვება მნიშვნელოვნად ზრდის რომნის შანსებს, გახდეს ერთიანი კანდიდატი მომავალ პრეზიდენტის არჩევნებში: რესპუბლიკელებს შეუძლიათ მიიღონ გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ უკვე დროა, შემჭიდროვდნენ ერთი კანდიდატურის გარშემო და დაიწყონ გადამწყვეტი ბრძოლა მოქმედ პრეზიდენტ – დემოკრატ ობამასთან.



№55. ხუთშაბათი, 22 მარტი, 2012 წელი.

## ◉ სარედაქციო ფოსტიდან

# წყალთა ღაღადი

## ჭირი დანახული ჯობს

**ცნობილია, რომ ჩვენს პლანეტაზე მტკნარი წყლის დეფიციტი უკვე გამოკვეთილია, დროთა განმავლობაში ეს დეფიციტი უფრო მწვავდება, მისი დადებითად გადაჭრის რეალური პერსპექტივა კი არ ჩანს.**

აქ არ ვაპირებ ჩვენი ქვეყნის მდინარეებისა და წყაროების მოვლა-პატრონობაზე საუბარს, თუმცა ჩემი განვლილი სამსახურებრივი საქმიანობისას გაცნობილი და დანახული საფუძველს მაძლევს კიდევ ერთხელ, თუნდაც დამატებით, შემოვკრა განგაშის ზარი.

**წყალი გვაქვს, ალბათ, იმდენი, რომ არსებული ნორმატივებით ჩვენზე 3-4-ჯერ მეტ მოსახლეობას დააკმაყოფილებდა. აქვე ვიტყოდი — იმდენად დაბალ დონეზეა წყლის რესურსების გამოყენების კულტურა, რომ სიცოცხლისთვის ესოდენ საჭირო პროდუქტით მოსახლეობის უზრუნველყოფის საკითხში დიდი ჩამორჩენა გვაქვს. ამაში ადვილად დარწმუნდებით, თუ შემოივლით საქართველოს სოფლებსა და რაიონულ ცენტრებს, მათ შორის ისეთებსაც, რომელთა წყლით რესურსების სიუხვე საკმაოდ ცნობილია. მართალია, ზოგან პრობლემები წყლის მოპოვებაშიც არის, მაგრამ ძირითადი მაინც ადამიანამდე წყლის მიწოდების მოუგვარებლობაა. მოსახლეობის წყლით უზრუნველყოფის საკითხი გლობალურია და დახუნძლულია რიგი ქვესაკითხებით, რომლებიც, იმედია, ახლო მომავალში მეტ ყურადღებას მიიქცევს და გადაწყდება კიდეც დადებითად.**

მკითხველი მკითხავს — მაინც რა ნახე ისეთი, რომ განგაშის ზარის შემოკვრას აპირებდიო. აი, რაზე მექნება საუბარი.

ზოგიერთი ცხოვრებისეული საკითხის დასმასა და გადაჭრაში საბჭოთა პერიოდს თუ დავესესხებოდით ეს, ჩემი აზრით, არც სათაკილოა და არც მიუღებელი. გარემოს, მდინარეების და წყალსაცავების დაბინძურების წინააღმდეგ მიმართული იყო საკმაოდ ეფექტური ღონისძიებები. სიტყვამ მოიტანა, და როგორ არ გავიხსენო, თუ რამოდენა სანქციებით აღინიშნებოდა მანქანის გამონაბოლქვით ჰაერის დაბინძურება. ავტოინსპექტორთან მძღოლის „ტკბილი" საუბარი რით დამთავრდებოდა, ეს მეორე საკითხია, მაგრამ დარღვევა ყურადღების გარეშე რომ არ დარჩებოდა, ესეც ფაქტია.

იყო პერიოდი, როდესაც მთავრობის აპარატში მდინარეებისა და წყალსაცავების მოვლა-პატრონობის საკითხს ვკურირებდი. საკითხი თავის თავად წინა პლანზე წამოსწევდა რესპუბლიკაში გამწმენდი ნაგებობების მშენებლობას. მაშინდელმა გეგმიურმა შემოწმებამ აჩვენა, რომ ამ მხრივ გარკვეული სამუშაოები შესრულებული იყო, სრულდებოდა ან ახლო პერსპექტივაში იყო გათვალისწინებული. იმ დროისთვის ყველაზე საჭირბოროტო მაინც ის იყო, რომ ჯერ კიდევ არ მოიპოვებოდა გამწმენდ ნაგებობათა მეცნიერულად დამუშავებული, დახვეწილი და აპრობირებული ტექნოლოგიით უზრუნველყოფილი პროექტები. მეტი წილი ამ პროექტებისა ჩამდინარე წყლების მხოლოდ მექანიკურ გაწმენდას ითვალისწინებდა, ბიოლოგიური გაწმენდით კი, როგორც მახსოვს, მხოლოდ ფოთის, ბიჭვინთისა და თბილისის ნაგებობები იყვნენ აღჭურვილები.

წუნმა პროექტებში და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის გამოუცდელობამ უმალვე იქონია გავლენა ექსპლუატაციაში გაშვებულ გამწმენდ ნაგებობათა მუშაობაში (ფოთის, ბიჭვინთის, ხაშურის, ბაკურიანის ნაგებობებიძ. ზოგიერთი ობიექტის მშენებლობა, სხვადასხვა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზის გამო, ვერ დამთავრდა, ვერ აღიჭურვა ტექნოლოგიური მოწყობილობებით და ბორჯომის ხეობის, ჭიათურის და, რაც მთავარია, თბილისის ქარხანა-ფაბრიკების, ნავთობპროდუქტების საწყობებისა და ბენზინგასამართი პუნქტების ლოკალური გამწმენდი დანადგარები არადამაკმაყოფილებლად მუშაობდნენ.



**თბილისის კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობების მშენებლობის დამთავრების მოლოდინში მდინარე მტკვარი ქალაქ თბილისის საზღვრებში, ფაქტობრივად, საკანალიზაციო კოლექტორად იქცა. საყურადღებო ისიც არის, რომ ჟინვალი ჰესის საცხოვრებელი კვარტლის კანალიზაციის კოლექტორი ფეკალურ სითხეს, ყოველგვარი გაწმენდის გარეშე, ატარებს თბილისი-ჟინვალის საავტომობილო გზის გასწვრივ, მდინარე არაგვის მარჯვენა სანაპიროზე. კოლექტორი დეფორმირებულია და ანტისანიტარიული მდგომარეობით საფრთხეს უქმნის თბილისის სასმელი წყლით მომარაგების საგუბრებსა და ჰიდროტექნიკურ ნაგებობებს.**

რაც შეეხება თბილისის საკანალიზაციო კოლექტორს, რომლის მთავარი ნაწილი მტკვრის მარჯვენა სანაპიროს გასდევდა, კაცმა არ იცის, რა მდგომარეობაშია და ასრულებს თუ არა რაიმე სასარგებლო ფუნქციას, რადგან, ფაქტის წინაშე ვდგავართ — თბილისის კანალიზაციას გამწმენდი ნაგებობა არ გააჩნია. ქვეყანაში სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სამსახური რომ თავის დონეზე იყოს, თბილისის საზღვრებში მტკვარში თევზის ჭერას აკრძალავდა, რათა აქ დაჭერილი თევზით არ მოწამლულიყო არც მისი დამჭერი და არც მყიდველი. მაგრამ ასეთი სამსახური მოშლილია და, ჩემი აზრით, ესეც მისახედია.

**მართალია თბილისის ქარხანა-ფაბრიკები უმოქმედობის გამო მტკვარში მომწამლავ სითხეებს აღარ უშვებენ, მაგრამ ფეკალური ჩანადენებით ჩვენი დედამდინარე ზედმეტად არის გაჯერებული. საერთოდ კი, დღეისთვის საქართველოში კანალიზაციის არც ერთი გამწმენდი ნაგებობა არ მოქმედებს და თითქმის ყველა მდინარე თუ წყალსაცავი ბინძურდება ჩამდინარე სითხეებით.** ასე, მაგალითად, მტკვარს, დაწყებული ახალქალაქიდან, ადიგენი (აბასთუმანიძ, ბორჯომის ხეობა, ბაკურიანი, ხაშური, ქარელი, გორი, მცხეთა, თბილისი, რუსთავი, გარდაბანი დაუზოგავად აბინძურებს; სოხუმი, ბათუმი, აფხაზეთისა და აჭარის კურორტები, ფოთი — ამ „სიამოვნებას" უშუალოდ შავ ზღვას უძღვნიან, ქუთაისი — მდინარე რიონს, საჩხერე, ჭიათურა, ზესტაფონი და სამტრედია — ყვირილას, ცხინვალი — ლიახვს, ახმეტა და თელავი — ალაზანს და ა.შ. გულს კლავს თბილისის ფარგლებში მტკვრის შენაკადი მცირე მდინარეების და მათი შემოგარენის მდგომარეობა. მათი ხეობები ქალაქის ნაგავსაყარად ქცეულა. არადა ეს ადგილები სულ მცირე დანახარჯებით შეიძლებოდა თბილისელთა დასვენების კერად ქცეულიყო.

**თუ ჩვენ ჩვენი მდინარეებისა და წყალსაცავების დაცვა გვინდა, და, მე მჯერა, რომ ძალიანაც გვინდა, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ, სათანადო მონიტორინგის ჩატარების წინსწრებით, უნდა შეიმუშაოს საჭირო ღონისძიებანი, რომელთა განხორციელების რიგითობა, მე პირადად, სამ ეტაპად მესახება: პირველი — ღონისძიებანი იმ მდინარეებისა და წყალსაცავების დასაცავად, რომელთა მნიშვნელობა პრიორიტეტულია და, ამასთანავე, ყველაზე მეტად ბინძურდებიან საშიში ჩანაკადებით; მეორე — მდინარეები და წყალსაცავები, რომლებსაც ზემოაღნიშნული მონაცემები აქვთ ნაკლები დოზით და ნაკლებ საფრთხეს შეიცავენ; და ბოლოს, მესამე — ნახმარი წყლის გაწმენდის ლოკალური ღონისძიებანი კონკრეტულ ობიექტებთან, რომელთა მავნე გავლენაც, საერთო ჯამში, შესამჩნევია.**

ეს წერილი ხალხში უიმედობის ჩანერგვას სრულებითაც არ ემსახურება. პირიქით, დიდი სურვილია მომავალს (თანაც ახლოსძ ამ მხრივაც იმედის თვალით შევხედოთ. ერთი კი არის: იმ პრობლემათა ჩამონათვალში, რომელთა მოწესრიგება ჩვენი ქვეყნის ცხოვრების შემდგომ ნორმალიზაციას უნდა მოემსახუროს, წყლის რესურსების მოვლა-პატრონობის საკითხი ღირსეულ ადგილს იმსახურებს.

ჩვენი დედაქალაქის, სხვა ქალაქებისა და დაბების გამშვენიერება-განაშენიანების აღებულ ტემპს ამ წერილში დასმული საკითხის დადებითად გადაჭრა უდავოდ წაადგება.

ნუ დაგვავიწყდება, რომ წყალი ჩვენი სიმდიდრეა და მისი მნიშვნელობა, დროთა ვითარებაში, განუხრელად იზრდება.

**რევაზ ტყემალაძე,**
**ტექნიკის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, ღირსების ორდენოსანი, საქართველოს დამსახურებული მშენებელი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრემიის ლაურეატი**

## ◉ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

# სასწავლო გეგმა გამოფენისთვის „დიმიტრი ყიფიანი"

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის განათლების დეპარტამენტმა წარმოადგინა ექსკურსიის სასწავლო გეგმა გამოფენისთვის „დიმიტრი ყიფიანი". პროექტი მოიცავს 14 საგანმანათლებლო პროგრამას. 2012 წლისთვის გათვალისწინებულია 6 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება: დიმიტრი ყიფიანი, იაკობ გოგებაშვილი, „ვეფხისტყაოსანი" — საქართველოს ოქროს ხანა, ილია ჭავჭავაძე, ვაჟა-ფშაველა, გრიგოლ რობაქიძე.



ექსპოზიციაზე წარმოდგენილი იყო დიმიტრი ყიფიანის, არჩილ ჯორჯაძის, იაკობ გოგებაშვილის, პაპუნა წერეთლის, დუტუ მეგრელის, თედო სახოკიას, იოსებ ყიფშიძის, გრიგოლ წერეთლისა და სხვათა პირად საარქივო ფონდებში დაცული მასალა. დამთვალიერებელმა იხილა დიმიტრი ყიფიანის საზოგადოებრივი საქმიანობის — საჯარო ბიბლიოთეკის, დრამატული საზოგადოების, საადგილმამულო ბანკის დაარსების, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაფუძნებისა და სხვათა, — ამსახველი მასალების ორიგინალები. აგრეთვე დიმიტრი ყიფიანის ავტოგრაფები, მათ შორის, შექსპირის პიესის „ვენეციელი ვაჭარის" თარგმანის ავტოგრაფი; ილია ჭავჭავაძისადმი გაგზავნილი წერილი სათავადაზნაურო ბანკის მუშაობის შესახებ; ქართული სკოლებისათვის შემოღებული სასწავლო გეგმის თაობაზე; წერილი საქართველოს ეგზარხოს პავლესადმი და სხვ.

ასევე გამოიფინა დიმიტრი ყიფიანისადმი გაგზავნილი წერილები და სიგელები: იმპერატორ ალექსანდრე II-ის მიერ დიმიტრი ყიფიანისათვის ბოძებული სიგელი წმინდა სტანისლავის პირველი ხარისხის ორდენით დაჯილდოების შესახებ; ყიფიანის საზღვარგარეთ (პარიზსძ გასამგზავრებელი პასპორტი (მოწმობაძ, რუსულ, გერმანულ და ფრანგულ ენებზე და სხვ.

დასასრულ, მოისმინეს აკაკი წერეთლის ცნობილი ლექსის „განთიადის" აუდიოჩანაწერი, რომელსაც პოეტი თავად კითხულობს.

თამაზ ჯოლოგუამ ისაუბრა დიმიტრი ყიფიანის მოღვაწეობაზე, გივი გელაშვილმა ქვიშხეთის სახლ-მუზეუმზე, დიმიტრი ყიფიანის პირდაპირმა შთამომავალმა თამარ მიქაძემ მოსწავლეებს მიუთითა, ენახათ 2009 წელს გამოცემული ალბომი „დიმიტრი ყიფიანი."

ჩემთვის, შთამომავლისთვის, ყოველთვის სასიამოვნოა ყველა სასიკეთო საქმე, რაც დაკავშირებულია ამ დიდი მოღვაწის სახელთან.... მაგრამ ეს ღონისძიება მნიშვნელოვანია იმით, რომ გულისხმობს მოსწავლეების ჩართულობას", — თქვა მან.

**ნატა ნიბლაძე**



## ◉ ინფორმაცია

### გონიოში საპროტესტო აქცია გაიმართა

**გონიოს მოსახლეობამ გუშინ საპროტესტო აქცია გამართა. ისინი 60 ჰექტარი ფართობის მიწის ნაკვეთების ჩამორთმევას აპროტესტებდნენ.**

**მოსახლეობა აღნიშნავს, რომ 271 ოჯახს, 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინა პერიოდში, მიწის ნაკვეთები დაუკანონეს, 2011 წლის დეკემბერში კი, ჩამოართვეს.**

**„მიწები იჯარის სახით გვქონდა აღებული და ვამუშავებდით, შემდეგ კერძო საკუთრებაში გადმოგვცეს, მიწის გადასახადს ვიხდიდით. 3 წელი ჩვენი იყო, 2011 წლის დეკემბერში გაგვიუქმეს საკუთრება და გვითხრეს, უნდა გაიყიდოსო. მივმართეთ სამივე ინსტანციის სასამართლოს, ახლა ვამზადებთ საბუთებს სტრასბურგში გასაგზავნად. ვაგრძელებთ პროტესტს და ვიბრძოლებთ, ვიდრე სამართლიანობა არ აღსდგება", — აღნიშნა გონიოში მცხოვრებმა ენვერ ირემაძემ. „ინტერპრესნიუსთან" საუბრისას არასამთავრობო ორგანიზაცია „დემოკრატიის ინსტიტუტის" ხელმძღვანელმა გენო გელაძემ განაცხადა, რომ ეს მიწები მოსახლეობას კანონმდებლობით ეკუთვნის.**

**„ძალიან კარგია რომ სახალხო დამცველი შეუერთდა მათ მოთხოვნას და რეკომენდაციები მიაწოდა", — აღნიშნა გენო გელაძემ. იურისტი ლადო მგალობლიშვილი აღნიშნავს, რომ მოსახლეობას გააცნო სახალხო დამცველის რეკომენდაციები და მათ გაუწევს სამართლებრივ მომსახურებას.**

ინტერპრესი

ოლიმპიზმი

## თანამშრომლობა ხელმოწერით განამტკიცეს

**საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დელეგაცია პირველი ვიცე-პრეზიდენტის — რამაზ გოგლიძის ხელმძღვანელობით მინსკში იმყოფებოდა ბელარუსი კოლეგების მიწვევით. ორი დღის განმავლობაში სტუმარ-მასპინძლებმა ერთმანეთს გამოცდილება გაუზიარეს და ურთიერთდახმარების სამომავლო გეგმები დასახეს. თანამშრომლობის მემორანდუმს ხელი რამაზ გოგლიძემ და ბელარუსის ეოკ-ის პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა იგორ ზაიჩკოვმა მოაწერეს.**

ძიუდოობა

## ტურნირების რიგი რიგიდან იწყება



**წლეულს 19-24 ივნისს ზაგრები (ხორვატეთი) ახალგაზრდა მოჭიდავეთა ევროპის პირველობას უმასპინძლებს. მართალია, იქამდე ჯერ კიდევ დიდი დროა, მაგრამ ნაკრების მთავარი მწვრთნელი ნუგზარ სხირელი კარგა ხანია, ამ შეჯიბრებისთვის მზადებას შეუდგა.** მისმა შეგირდებმა ორი დღის წინათ დუშეთის ოლიმპიურ ბაზაზე დაამთავრეს შეკრება და 24 მარტიდან რიგაში ფრეინდელფელდის სახელობის მე-15 საერთაშორისო ტურნირში მოსინჯავენ ძალებს. მთავარმა მწვრთნელმა გუნდი, ფაქტობრივად, საქართველოს ჩემპიონებით დააკომპლექტა, მაგრამ ლატვიის დედაქალაქში ზოგიერთ წონაში ორ სპორტსმენს წაიყვანს. აი, ისინი, რომლებიც ბალტიისპირეთში საქართველოს სპორტულ ღირსებას დაიცავენ: ბექა ბუჯიაშვილი (50 კგძ, ლაშა ტალახაძე, ოთარ გოგავა (55ძ, ლევან ქელეხსაშვილი, ლაშა ბიტარიშვილი (60ძ, კონსტანტინე ხაბალაშვილი (66ძ, ჯუმბერ ყველაშვილი (74ძ, სანდრო ამინაშვილი, ლევან გოგრიჭიანი (84ძ, გიორგი მეშვილდიშვილი, ომარ გუსოშვილი (96ძ, გენო პეტრიაშვილი (120ძ. ჩვენს ბიჭებს აპრილში ბაქოს, მაისში კი რუმინეთისა და თურქეთის საერთაშორისო ტურნირები ელით.

**გივი გაგუა**

კალათბურთი

## წარმატების ფორმულა

**უკანასკნელი 12 ევროლიგიდან 8 „პანათინაიკოსმა“ და „მაკაბიმ“ მოიგეს, მათი მწვრთნელები ჟელკო ობრადოვიჩი და დევიდ ბლატი კი საფუძვლიანად ითვლებიან თანამედროვეობის საუკეთესო სპეციალისტებად.**



სწორედ ამიტომაც მოინათლა წლევანდელი გათამაშების პლეიოფის აღნიშნული წყვილის დუელი ნაადრევ ფინალად.

ტურნირის დებულების შესაბამისად, საკუთარი მოედნის უპირატესობა ბერძნულ კლუბს მიენიჭა, რომელმაც ჯგუფურ რაუნდში პირველი ადგილი დაიკავა და ელადელებმა ჩინებულად დაიწყეს ბოძებული შანსის რეალიზება.

**„პანათინაიკოსი“ — „მაკაბი“ 93:73 (1:0)**

დიამანტიდისი, იასიკიავიჩიუსი, კალათესი, ლოგანი — ასეთი ვირტუოზებისგან დაკომპლექტებული უკანა ხაზი ნებისმიერ გუნდს დაამშვენებს. დაუმატეთ მას ბატისტი, სატო, მარიჩი, პერპეროღლუ, ცარცარისი და ადვილი მისახვედრი გახდება, რამაც განაპირობა მასპინძელთა ასეთი შთამბეჭდავი თამაში.

სხვათა შორის, ბრძოლის ბედი პირველივე ნახევარში გადაწყდა, როცა ათენელებმა უმოწყალოდ დასეტყვეს მეტოქის კალათი როგორც შორეული, ისე საშუალო დისტანციებიდან — 55:34.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ორქულიანი ტყორცნების ზუსტად შესრულების მაღალი საშუალო პროცენტი. და ეს მაშინ, როცა სტუმართაგან ამ მხრივ მხოლოდ სმიტი გამოირჩეოდა.

**„ბარსელონა“ — „უნიქსი“ 78:66 (1:0).**

დღეს მეორე მატჩები ისევ ათენსა და ბარსელონაში გაიმართება.

ჭადრაკი

## ევროპამ პლოვდივში მოიყარა თავი



**თურქული გაზიანთეფიდან ევროპის საჭადრაკო ეპიცენტრმა ბულგარეთში გადაინაცვლა: ქალაქ პლოვდივში ბებერი კონტინენტის 39 ქვეყნის 348 წარმომადგენელმა მოიყარა თავი ევროპის ვაჟთა მე-13 ჩემპიონატში საასპარეზოდ. მედლებისათვის ბრძოლაში 9 ქართველიც ჩაება. ჩვენებურებს ურიგო სტარტი არ აუღიათ.** განსაკუთრებით აღსანიშნავია დავით ლომსაძის წარმატება — ახალგაზრდა ოსტატმა 2006 წლის ევროპის ჩემპიონ ზდენკო კოჟულს სძლია (სხვათა შორის, ხორვატმა კონტინენტის ჩემპიონატის ოქროს მედალი მაშინ თურქულ კუშადასში მოიპოვაძ, შოთა აზალაძე კი შავი ფიგურებით ფიდეს ვერსიით 1999-2000 წლების რუს მსოფლიოს ჩემპიონ ალექსანდრ ხალიფმანს დაუზავდა.

ჩემპიონატის პირველ ტურში ორი ქართული დუელიც ვიხილეთ: ვაჟთა ნაკრების ლიდერი ბაადურ ჯობავა თეთრებით ლუკა პაიჭაძეს შეუთანხმდა ყაიმზე, ხოლო დავით ბენიძემ გიორგი ხელაია დაამარცხა. გაიოზ ნიგალიძემ ქულა გაიყო უკრაინელ ზახარ ეფიმენკოსთან, ლევან ფანცულაიამ კი — რუს ილია დუჟაკოვთან, ხოლო მიხეილ მჭედლიშვილმა პირველი გამარჯვება ჩაიწერა გათამაშების ცხრილში — მასპინძელ ტიხომირ იანევს მოუგო.

შეჯიბრებაზე, რომლის საპრიზო ფონდია 100.000 ევრო, საინტერესო პაექრობებია მოსალოდნელი, რადგან ფავორიტთა შორის არიან 2700-იანთა კლუბის წევრები, მათ შორის — იტალიელი ფაბიანო კარუანა, აზერბაიჯანელი შაჰრიარ მამედიაროვი, რუსები — დმიტრი იაკოვენკო, ალექსანდრ რიაზანცევი, ნიკიტა ვიტიუგოვი, ფრანგი ეტიენ ბაგრო, ევროპის ჩემპიონი ემილ სუტოვსკი (ისრაელიძ და სხვები. ტურნირზე 11 ტური გათამაშდება. 27 მარტი დასვენების დღეა.

**ლაშა დიდია**

კრივი

## საგზური — ცოტა, მაძიებელი — ბევრი



**ლონდონის 2012 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის ევროპას მოკრივეთა მხოლოდ 26 საგზური დარჩა გასანაწილებელი 10 წონით კატეგორიაში, არადა, მსურველი ბევრია — 49 ქვეყნის წარმომადგენლები. მართალია, ზოგიერთ ქვეყანას გვარიანად აქვს მოხვეჭილი ლიცენზიები, მაგრამ, მაგალითად, საქართველოდან და თურქეთიდან წლევანდელ ოლიმპიადაზე გასამგზავრებელი ბილეთები ჯერჯერობით არავის დაუბევებია. ბოლო სალიცენზიო საერთაშორისო ტურნირი 13-22 აპრილს სწორედ თურქულ ტრაბზონში გაიმართება. 49 კილოში 4 საგზური გათამაშდება, 52-ში — 3, 56-ში — 4, 60-ში — 4, 64-ში — 1, 69-ში — 2, 75-ში — 2, 81-ში — 3, 91-ში — 1, +91-ში — 2.**

საქართველოს ნაკრები რამაზ ფალიანის ხელმძღვანელობით ამჟამად კიევში იმყოფება საწვრთნელ შეკრებაზე უკრაინელებთან ერთად, რომლებსაც უკვე ექვსი ლიცენზია აქვთ მოპოვებული. როგორც საქართველოს კრივის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა, ევროპის კრივის კონფედერაციის აღმასკომის წევრმა და AIBA-ს დელეგატმა ვლადიმერ ახალკაცმა აღნიშნა, ქართველთა გუნდი თურქეთში არასრული შემადგენლობით გაემგზავრება, რადგან 64 და 91 კილოგრამ წონით კატეგორიებში საგზურების მოპოვების შანსი ნულის ტოლია, დანარჩენ 8 წონაში კი ჩვენებურები ლიცენზიისთვის იბრძოლებენ, რათა წლევანდელმა ოლიმპიადამ ქართველი მოკრივეების გარეშე არ ჩაიაროს. თუ ვინ გაემგზავრება ტრაბზონში, ეს 9 აპრილისთვის გახდება ცნობილი.

**ლექსო ცინცაძე**

ინტერნეტიდან

## კრივიდან წასვლა ღმერთმა ურჩია?

**კარიერის სწრაფ დამთავრებაზე ალაპარაკდა მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მოკრივე წონით კატეგორიებზე დამოუკიდებლად მენი პაკიაო. მისი თქმით, მას ღმერთი დაესიზმრა და კრივიდან წასვლა ურჩია, თუმცა მას არ დაუზუსტებია, თუ კიდევ რამდენი ბრძოლა უნდა გადაიხადოს. „შენ საკმარისი გააკეთე, სახელოვნად გახდომა შეძელი, ეს კი დამღუპველია“ — თითქოს უთხრა ღმერთმა მძინარე პაკიაოს.**

33 წლის მოკრივის მტკიცებით, ის თითქოს ხშირად თათბირობს ღმერთთან. უფრო ადრე მენიმ განაცხადა, თითქოს ღმერთმა საგანგებოდ აირჩია ის, რათა ქრისტეს რწმენა გაევრცელებინა მთელს მსოფლიოში.

ერთ-ერთ ინტერვიუში კი პაკიაომ აღიარა, რომ



კრივი აღარ მიესადაგება მის უანგარო ურთიერთობას ღმერთთან.

ადრე მენი აპირებდა კრივის მიტოვებას ჯერ დედის გასაბრაზებლად, შემდეგ კი პოლიტიკური კარიერის გასაკეთებლად.

შეგახსენებთ, რომ 9 ივნისს პაკიაო გამართავს ორთაბრძოლას მსოფლიოს ჩემპიონთან პირველ ქვესაშუალო წონაში ტიმოტი ბრედლისთან.

## უხამსი და ხარბი ტაიგერი



**ასე ახასიათებს თავის შეგირდს ტაიგერ ვუდს მისი ყოფილი მწვრთნელი ხენკ ხენი თავისსავე წიგნში The Big Miss, აბრალებს რა მას ბევრ სხვა ცოდვას. ხენი მთელ წიგნში მსოფლიოს ყველაზე მაღალანაზღაურებად სპორტსმენს უწოდებს ეგოისტურსა და ეგოცენტრულს.** მისი თქმით, გოლფისტი მუდამ ირგვლივ მყოფთა მიმართ იჩენდა ნამდვილ უპატივცემულობას, აიძულებდა სხვებს რესტორანში მის მაგიერ გადახდას, გამოძღებოდა რა, სხვებს მაგიდასთან ტოვებდა. ხენკს ეშინოდა კიდეც მისთვის ეთხოვა მაცივრიდან ნაყინის მოტანაც კი, ყოველივე ამის მიზეზად ყოფილი მწვრთნელი თავისი ყოფილი შეგირდის ვარსკვლავურ ავადმყოფობას ასახელებს.

თავის 1247-გვერდიანი წიგნის ბოლოს ავტორი ყოველივე კარგს უსურვებს და მადლობას უხდის ტაიგერს „დაუჯერებლად სასარგებლო ექვსი წლისთვის“. გასაყიდად წიგნი 27 მარტს გამოჩნდება.

### ჩვენი კარაბადინი

# როგორც ეკლებზე

**ჰემოროი — ყველაზე გავრცელებული პროქტოლოგიური დაავადებაა. რა არის მისი მიზეზი და როგორ დავიცვათ თავი დაავადებისგან?**

**გვესაუბრება ექიმი-პროქტოლოგი ქეთევან სხიერელი.**

## დელიკატური საკითხი

**ამის შესახებ საუბარი ბევრისთვის უსიამოვნოა — მეტად დელიკატური პრობლემაა, ამიტომ წარმოდგენაც კი ჰემოროიზე ბევრისთვის ბუნდოვანია. რომ ვიცოდეთ ზოგიერთი წვრილმანი — სულაც არ არის ზედმეტი.** რა არის დაავადების არსი? სწორ ნაწლავსა და ანალური არხის ზონას აქვთ განსაკუთრებული ვენოზური გადახლართვა — ჰემოროიდალური. და თუ ეს ვენები ფართოვდება, წარმოიქმნება ჰემოროიდალური კვანძები. გარეგნული ჰემოროის დროს ჩნდება კვანძები ანალური ხვრელის გარშემო, შინაგანის დროს კი — კვანძები განთავსებულია ლორწოვანი გარსის გარშემო. არსებითად, ყოველი ჩვენგანი პოტენციურად არის განწყობილი ამ უსიამოვნო დაავადებისადმი.

## რისკის ფაქტორებია:

- ცხოვრების ჯდომითი წესი;
- კუჭის შეკრულობა, სიმსუქნე;
- არასწორი და არარეგულარული კვება;
- ალკოჰოლის ზედმეტი მოხმარება;
- ანალური სექსი;
- სიმძიმეების რეგულარული აწევა;
- ფეხმძიმობა და მშობიარობა;
- ანთებითი დაავადებანი მცირე მენჯის უბანში;
- მემკვიდრეობითი მიდრეკილება.

**დაავადება უმალვე როდი ავლენს თავის ხასიათს, ის შეიძლება თვეების განმავლობაში ვითარდებოდეს შეუმჩნევლად. ყველაზე ხშირად ავადმყოფები ექიმებს მიმართავენ, როდესაც ჩნდება შემდეგი ნიშნები:**

- **ქავილი, წვა უკანა გასასვლელის უბანში, მასში უცხო სხეულის, სიმძიმის, სისველის შეგრძნება;**
- **ტკივილი დეფექაციის ან სიარულის დროს;**
- **სისხლის გამოყოფა დეფექაციის დროს.**

**შენიშნეთ რაიმე უსიამოვნება? მიმართეთ პროქტოლოგს! ვინაიდან ასეთივე სიმპტომები დამახასიათებელია ფიბროზული პოლიპებისთვის, უკანა ტანის მელანომისთვის და სწორნაწლავის კიბოსთვისაც კი.**

## შორს მორცხვობა?

**სამწუხაროდ, ბევრს ერიდება დროულად მიმართოს პროქტოლოგს ყალბი მორცხვობის, მტკივნეული შეგრძნებების გამო. მოიშორეთ შიშიც, მორცხვობაც! ექიმთან ვიზიტი — დაავადების წინააღმდეგ თავდაცვის უმნიშვნელოვანესი მომენტია. დაე, ეჭვები ყალბი აღმოჩნდეს, ვიდრე დადასტურდეს ფაქტი, რომ პროცესი დიდი ხანია მიტოვებულია.**

გასინჯვა ხდება სპეციალურ სავარძელზე. ექიმი აწყობს პირდაპირი ნაწლავის თითით შემოწმებას. შემდეგ რექტალური სარკის დახმარებით იკვლევენ რექტალური არხისა და სწორნაწლავის ქვედა განყოფილების მდგომარეობას, საჭიროების შემთხვევაში კი ხდება რექტორომანოსკოპია — სწორნაწლავისა და სიგმისებრის ქვედა განყოფილების გამოკვლევა რექტორომანოსკოპის დახმარებით. ექიმს შეუძლია ასევე დანიშნოს მსხვილი ნაწლავის რენტგენოლოგიური გამოკვლევა, განავლის ანალიზი ფარულ სისხლზე, რათა გამოვარკვიოთ შესაძლო სისხლდენა კუჭნაწლავის ზედა განყოფილებებში. იმ შემთხვევაში, როდესაც დაავადება მიშვებულია, ნიშნავენ კოლონოსკოპიასაც — ენდოსკოპის დახმარებით აფასებენ მსხვილი ნაწლავის ლორწოვანი გარსის მდგომარეობას (ხელსაწყოს აქვს მრავალი შუქდიოდები, რომლებიც გამოსახულებას გადმოსცემენ მონიტორზე).

## და მაინც, თუ...

**ექიმმა დასვა დიაგნოზი „ჰემოროი“, თუ დაავადება სტარტზეა — გაგიმართლათ. დაავადების საწყის სტადიაში მკურნალობას ჩვეულებრივად იწყებენ დიეტით, რომელიც გვეხმარება მოვაწესრიგოთ კუჭნაწლავის რეგულარული მუშაობა.**

შემდგომი ეტაპისთვის ნიშნავენ რექტალურ სანთლებსა და საცხებს: ისინი შეიცავენ აქტიურ კომპონენტებს, რომლებიც ამცირებენ შეშუპებას, ანთებას, ტკივილს. იყენებენ საშუალებებსაც, რომლებიც აუმჯობესებენ სისხლის მიმოქცევას, აგრეთვე სასაქმებელ პრეპარატებს დაძაბულობის შემცირებისა და დეფექტის შემსუბუქებისთვის.

თერაპევტული მკურნალობის გარდა ეფექტიანია აგრეთვე ეგრეთ წოდებული მცირეინვაზიური მეთოდებიც. მათ შორის ყველაზე გავრცელებულია — სკლეროთერაპია. ჰემოროიდალურ კვანძში შეჰყავთ სპეციალური პრეპარატი, რომელიც „აწებებს“ მის შიგნით არსებულ სისხლძარღვებს. ისინი ერევიან შემაერთებელ ქსოვილში და 2-3 კვირის შემდეგ კვანძი ქრება. კვანძების „მორჯულების“ მეორე ხერხია — მათი გაყინვა უკიდურესი ქვედა ტემპერატურებით (კრიოთერაპია).

ასეთი პროცედურის შემდეგ ჰემოროიდალური კვანძი კვდება. შინაგანი კვანძების გამოვარდნის შემდეგ აწარმოებენ მათ დაჭიმვას ლატექტური რგოლებით.

რჩევა: დიდი მნიშვნელობა აქვს სწორად მოვემზადოთ პროქტოლოგის განსინჯვისთვის. წინა დღის საღამოს უნდა გავიკეთოთ გამწმენდი ოყნა, უმჯობესია გვირილით. დილით გავიმეოროთ იგი. გამოკვლევაზე არ უნდა მივიდეთ უზმოზე, თუმცა საუზმე უნდა იყოს ზემსუბუქი: მაგალითად, ჭიქა ჩაი ნამცხვრით.

## გვირჩევენ: ვიყოთ დაავადებაზე უფრო ჭკვიანი

სავსებით შესაძლებელია თავიდან ავიცილოთ ჰემოროი. აი რამდენიმე მთავარი წესი.

- **მიაქციეთ ყურადღება, რომ კუჭნაწლავი რეგულარულად იცლებოდეს. არის პრობლემები? ყოველ დილით უზმოზე დალიეთ ჭიქა წყალი მასში გახსნილი ერთი ჩაის კოვზი თაფლით. ნახევარი საათის შემდეგ შეიძლება ისაუზმოთ.**
- **ნუ მიიღებთ კუჭის გამხსნელს საკუთარი შეხედულებისამებრ: განუჭვრეტელია თანმდევი ეფექტი — კუჭნაწლავის სპაზმებიდან ხანგრძლივ დიარეამდე (კუჭის აშლილობაა).**
- **ერიდეთ ოყნებს: მათ ხშირ გამოყენებას მივყავართ უკანა ტანის ნაპრალებთან და შეიძლება გამოიწვიოს ანთებითი პროცესები.**
- **გამოიყენეთ მხოლოდ რბილი, მრავალფენიანი ტუალეტის ქაღალდი და ყოველთვის, როდესაც არის ამის შესაძლებლობა, ეცადეთ საერთოდ აუაროთ მას გვერდი. თბილი წყლით აკურატული ჩამობანვა — ეს არა მხოლოდ ჰიგიენური პროცედურაა, ის სტიმულს აძლევს სისხლის მიმოქცევას უკანა ტანის ორგანოებში.**
- **მეტი იმოძრავეთ, განსაკუთრებით თუ ჯდომითი სამუშაო გაქვთ. სასარგებლოა ყოველდღე ივარჯიშოთ სახლში, განიმტკიცეთ მუცლის კუნთები — ისინი აუმჯობესებენ უკანალის ორგანოებში სისხლის მიმოქცევას.**

## დიეტა: რას ვჭამთ, რას ვსვამთ?

**ჰემოროის თავიდან აცილებაში გვეხმარება სწორი კვებაც. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მათთვის, ვისთანაც დაავადება იღებს „სტარტს“, — მისი განვითარება შეიძლება დავამუხრუჭოთ მრავალი წლით. მენიუში უნდა იყოს რაც შეიძლება მეტი უჯრედისი — ახალი ხილი და ბოსტნეული.**

უკეთესია დღე დავიწყოთ ფაფით — ნატურალური ბურღულეულის — წიწიბურას, შვრიის, ქერის ფაფით. ფაფები უნდა მოიხარშოს მხოლოდ წყალში და არა რძეში, უნდა დავუმატოთ არა კარაქი ან ერბო, არამედ მცენარეული ზეთი. არ არის ძალიან გემრიელი? შეიძლება ფაფა გამოვიყენოთ როგორც გახეხილი სტაფილოს, პომიდვრის ან ხილის სალათის გარნირად, რომელიც შეკმაზული იქნება იოგურტით. მეორე საუზმეც უნდა იყოს ხილის ან ბოსტნეულის.

სადილად უნდა მიირთვათ წვნიანი, რასაკვირველია, არა მაგარ ბულიონზე. მეორე კერძის — ხორცის ან თევზის გარნირად კარგია ბოსტნეული — მოთუშული ან ცოცხალი. მეტად სასარგებლოა ყაბაყის, გოგრის, წითელი წიწაკის, კომბოსტოს კერძები. მეტად სასარგებლოა ჭარხალი — ეს საუკეთესო ბუნებრივი გამხსნელი საშუალებაა, განსაკუთრებით თუ სალათს უმატებენ შავ ქლიავს ან ქიშმიშს. აი კარტოფილის პიურე და მაკარონი მენიუში — ეს არის პერსონა ნონ გრატა.

და არ დაივიწყოთ სითხეც. ეცადეთ დალიოთ სულ ცოტა ერთი ლიტრი წყალი. რძის პროდუქტებიდან ღამისთვის სასარგებლოა ახალი უცხიმო კეფირი. ყავის მოყვარულებმა უარი არ უნდა თქვან თავიანთ საყვარელ სასმელზე — მაგრამ მხოლოდ ნატურალურზე და არა სწრაფად ხსნადზე.

ЗДОРОВЬЕ

## ერაძის სავარძელი



**ხერხემლის პათოლოგიებთან დაკავშირებულ სნეულებათაგან სრული განთავისუფლება ფარმაციისა და ქირურგიის გარეშე — ოსტეოქონდროზი, თიაქარი, პარეზი, ნევრალგიები, ჯანმრთელობის რეაბილიტაციის ინჟინრულ კლინიკა GEOIN-ში. ტ: ბინა — 236-13-89, მობ. 577 42-07-18.**

## ნოდარის კარიკატურა



**— ეს არის საქმე ძმაო, ამდენი ჰესი აშენდა, ჩვენ კი ლამპის შუქზე ვქეიფობთ?!.**

ამირან ერაძის ნახატი.

### არის წინადადება

# ძეგლების მუზეუმად ვაქციოთ დედაქალაქი



**სიღატაკე, შიმშილი, სიცივე... საკმარისია ეს სამი ფაქტორი, რომ კაცს გული გაუსკდეს. საქმე მარტო ის ხომ არ არის, შენი ქვეყნის პრეზიდენტი საით მოისურვებს გასეირნებას, ვისთან დაგეგმავს შეხვედრას... ეჰ, მაშინ ხომ სხვა დრო იყო, ის ხანა დიდი ხანია წარსულს ჩაბარდა, როცა რეიგანს აგრესორად, ომის მოსურნედ მოიხსენიებდნენ. აღარაა რეიგანი აგრესორი, ის უკვე მეგობარი, გულშემატკივარი და სათაყვანებელია. ამიტომაც დაუფასეს ამაგი, ამიტომაც აუგეს ძეგლი ჩვენს დედაქალაქში. ანკი რა მოხდა ისეთი: თუკი გვაქვს ჰეიდარ ალიევის ბიუსტი, ბუშის ქუჩა, თუკი ძეგლები დავუდგით კვერცხებს, ველოსიპედს, ბოთლს, რეიგანს რატომ არ ეკუთვნის?!**

ისე კი, მისასალმებელიც იქნება ჩვენი დედაქალაქის მსოფლიოს გამოჩენილ მოღვაწეთა ძეგლების მუზეუმად ქცევა. რატომ არ ეკუთვნის ძეგლი თბილისში ნაპოლეონს, მაკედონელს. მაშინ იქნებოდა თბილისი მსოფლიოს მერვე საოცრება. დიდი ამბავი: გავაძევოთ დავითი, ვაჟა, ილია, აკაკი, გალაკტიონი... თუმცა რაა საჩქარო... ყველაფერი მოგვარდება... მერე შეიცვლება ვითარება და იქნებ მარტო კვარცხლბეკები დაგვჭირდეს. ვითარების შესაბამისად, ხან ერთი შემოვასკუპოთ, ხან მეორე. ეს დროც მოვა... ახალ-ახალი კეთილისმსურველები გამოუჩნდება ჩვენს მთავრობას...

რას არ მოიფიქრებს ადამიანის ტვინი, რას არ გაიგონებს კაციო — იტყოდა ოტია იოსელიანი. მაგრამ ჯერ სადა ვართ?.. კიდევ ბევრი სასწაულის მოწმე გავხდებით.

**ზინა ლობჟანიძე**

### რჩევა

# რა იქნება, პირველო, ერთხელ ბავშვსაც მიხედო...

**მომკლა ორი წლის ლუკა ლომიძის საცოდაობამ, ბუნებისგან ასეთი უსამართლობის მსხვერპლი რომ გამხდარა და ამგვარი მძიმე სენი შეყრია. ტელეეკრანიდან ხშირ-ხშირად გაისმის მოწოდება-კლიპი ბავშვისათვის დახმარების თაობაზე. 20 ათასი დოლარი უკვე შეგროვებულა, ოღონდ გაცილებით მეტი ყოფილა საჭირო უცხოეთში ლუკას წასაყვანად.**

კი მაგრამ, ამ ჩვენი ხელგაშლილი, ლარმფრქვევი და დოლარმფრქვევი პრეზიდენტის ყურამდე ვერ მივიდა (ან ვერ მიიტანეს — ტყუილად ჰყავს ამდენი მრჩეველი!) ეს ამბავი? საკუთარ მიშაარხებს მაინც არ უყურებს? მაგ დალოცვილს, ასეულათასობით და მილიონობით დოლარი რომ აქვს გადაყრილი, ეშმაკმა იცის კი არა, ბევრმაც რომ იცის რაში — მასაჟისტებში თუ კინოვარსკვლავებში თუ ჭრელ-ჭრულა შოუებში თუ ალმა-დალმა გრიალ-სრიალში — რა იქნება, სნეულ პატარასაც რომ მიხედოს და გაუხსნას უსაშველოდ გაბერილი ქისა; ამდენი რამ რომ აქვს კონტროლზე აყვანილი, ამდენ რამეში რომ იჩენს ინიციატივას — ლუკას ამბავიც აიყვანოს კონტროლზე, აქაც გამოიჩინოს ინიციატივა — რა, ეს ნაკლები საპიარო გამოვა? ეგების სულაც ამ ბავშვის განკურნებით დაგვამახსოვროს თავისი ყბადასაღები და ყბადაღებული პრეზიდენტობა და შევიდეს ისტორიაში... ვურჩიე აქ მე...

**ბერდია ბედოიძე**

### ახალი ფოლკლორიდან

**რა ხეირი, რი ხეირი,**
**სანამ იქ ზის მიხეილი...**

* * *

**ვაჟბატონო ბეჟაშვილო, ქალბატონო მოგელაძე,**
**ვერ დაგიშლით, იმუშავეთ ხაზინისთვის მოგებაზე,**
**ოღონდ ნუ ხართ გადასული ძალაზე და მორევაზე —**
**ვაჰ, თუ საქმე თქვენც გაგიხდეთ ბეჟვასა და მოდებაზე...**

თამაზ ილმელი

**კვარაცხელიების საგვარეულო კავშირი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა**

**კუნიაშა მოსეს ასული კვარაცხელია**

**და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს. პანაშვიდი 22, 23 III, 17 სთ. შანიძის ქ. №17, გამოსვენება 24 III, 14 სთ.**

## განცხადება

**2012 წლის 14 აპრილს, დღის 11 საათზე, გაიმართება ჩოხატაურის სააქციო საზოგადოება „ტრანსპორტელის“ აქციონერთა საერთო კრება.**

**დღის წესრიგი:**

1. სს „ტრანსპორტელის“ 2011 წლის სამეურნეო საქმიანობის შედეგებისა და წლიური ბალანსის განხილვა.
2. განცხადებების განხილვა.

**მისამართი: ჩოხატაური, გოგიბერიძის ქ. №49.**

**ადმინისტრაცია**

## ჩვენი კარაბადინი

### რა დაიცავს ჩვენს ორგანიზმს?

**ღვიძლი — ყველაზე მომთმენი ორგანოა. ჩვენ წლების განმავლობაში ვწამლავთ მას ალკოჰოლით, წამლებით, ცხიმიანი საკვებით, ის კი უდრტვინველად ასრულებს თავის სამუშაოს, არაფრით არ გაგრძნობინებს, თუ არსებობს. ხოლო თუ ღვიძლი გაგვიხდა ავად, მაშასადამე, დაავადება უკვე ღრმადაა შესული. მაგრამ ჩვენი მთავარი ბიოქიმიური ლაბორატორიის ცუდი მუშაობა, ვაი რომ, არღვევს ყველა ორგანოსა და სისტემის აწყობილ მუშაობას, რასაც უთუოდ მივყავართ ყველაზე სერიოზულ დაავადებებთან.**



ღვიძლის მემბრანა 65 პროცენტით ესენციური ფოსფოლიპიდებისაგან (ლეციტინისაგან) შედგება. სწორედ ეს ბუნებრივი ნივთიერება იცავს ღვიძლის უჯრედებს დანგრევისაგან. ლეციტინი — ეს ერთდროულად არის სამშენებლო მასალა ღვიძლის უჯრედებისათვის და რემონტის გამკეთებელიც, რომელიც აკერებს მათში ხვრელებს.

სამწუხაროდ, ჩვეულებრივ საკვებს არ შეუძლია შეავსოს ლეციტინის უკმარისობა, ამიტომ ექიმები გვირჩევენ მივიღოთ წამალი „ჩვენი ლეციტინი“.

### მამაკაცის პრობლემის გადაჭრა

**საიმედო მხარი... ძლიერი სქესი... საყრდენი და დამცველი... კიდევ რა სიტყვებს ვიხსენებთ ჩვეულებრივად, როდესაც მამაკაცებზე ვსაუბრობთ? ასეთი სიტყვები ბევრი შეიძლება გაიხსენო და ყველა მათგანი, როგორც წესი, დაკავშირებულია ძალასა და ვაჟკაცობასთან. და ყოველთვის როდი გვებადება აზრი, რომ ძალიან ხშირად ჩვენ საყრდენს, იმედსა და დაცვას თავად სჭირდება დახმარება და მხარდაჭერა...**

ვაი რომ, დაუნდობელი სტატისტიკა არ გვიტოვებს ეჭვს იმაში, რომ მამაკაცების დიდ ნაწილს აწუხებს სპეციფიური მამაკაცური პრობლემები, რომლებიც კიდევ უფრო რთულდება იმით, რომ მამაკაცები უკანასკნელ მომენტამდე ითმენენ უხერხულობებსა და ტკივილს, დღიდან დღემდე გადადებენ ხოლმე ექიმთან ვიზიტს. მამაკაცები ცდილობენ, შეინარჩუნონ იმიჯი „არ დაკარგონ სახე“, ხშირად კი უბრალოდ არ უნდათ აღიარონ, რომ ორგანიზმში რაღაც არაჩვეულებრივი რამ ხდება. უკეთეს შემთხვევაში ჩვენი ძლიერი ნახევრები ცდილობენ, მონახონ პასუხები „მამაკაცურ“ საკითხებზე მეგობრებთან ან ინტერნეტში, უარეს შემთხვევაში კი — ითმენენ მანამ, სანამ ექიმთან ვიზიტი უკვე გარდაუვალია. ხშირად ასეთი პრობლემა არის პროსტატიტი — ცივილიზებულ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მამაკაცური დაავადება. რატომ მხოლოდ ცივილიზებულში? მხოლოდ იმიტომ, რომ ყველაზე ხშირად პროსტატიტი უჩნდება იმ მამაკაცებს, ვინც ეწევა ცხოვრების ჯდომით, უწესრიგო სქესობრივი ცხოვრების წესს, ბოროტად იყენებს ალკოჰოლს და კიდევ ბევრ სხვა რამეს, რასაც შეუძლია მიგვიყვანოს პროსტატში — მამაკაცის ამ მეორე გულში — შეგუბებულ მდგომარეობამდე.

სპეციალისტთან ვიზიტი — ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებაა, რომელიც მამაკაცმა უნდა მიიღოს, და კიდევ აუცილებელი გადაწყვეტილება. უამრავი პრეპარატია ამ დაავადების სხვადასხვა ფორმისა და სტადიის გადასაწყვეტად. თუ მამაკაცს აწუხებს ხშირი შარდვა, უსიამოვნო შეგრძნება მის დროსა და შემდეგ, პროსტატში სიმძიმის გრძნობა, დაგვეხმარება გერმანული პრეპარატი პროსტაგუტ ფორტე. მას აწარმოებს გერმანული კონცერნი „დოქტორ ვილმერ შვაბე“, რომელიც მცენარეული ნედლეულისგან პრეპარატების წარმოების მსოფლიო ლიდერია. პროსტაგუტ ფორტე გვეხმარება პროსტატიტებისა და წინამდებარე ჯირკვლების ადენომის დროს. სამკურნალო პრეპარატი გვიხსნის ტკივილს და წინამდებარე ჯირკვლის ანთებას, თრგუნავს ავტოიმუნურ რეაქციას და შეუძლია ხელი შეუწყოს პროსტატიტის განმეორებითი განვითარების თავიდან აცილებას. უნდა აღინიშნოს, რომ პროსტაგუტ ფორტე უსაფრთხოა ხანგრძლივი გამოყენების დროს და გვინარჩუნებს სექსუალურ აქტიურობას. ის შეიძლება მიიღო სხვა წამლებთან შეხამებაშიც.

მყარი ეფექტის მისაღწევად უნიშნავენ თითო კაფსულას დილით და საღამოს 2 თვის განმავლობაში, თუმცა პირველი გაუმჯობესება შეიძლება შევნიშნოთ უკვე 10 დღის შემდეგ.

და მაშინ, უკვე არააქტუალურ შეკითხვაზე „პროსტატიტია?“, შეიძლება დარწმუნებით უპასუხოთ „პროსტაგუტია“!!!

### კატარაქტის მკურნალობა ტკივილისა და ნერვების გარეშე

**დღეისათვის თვალის დაავადებათა ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული დაავადება არის კატარაქტა — ბროლის გაბუნდოვანება. კატარაქტა ბერძნულად ჩანჩქერს ნიშნავს. ეს სახელწოდება საკმაოდ ზუსტად ასახავს იმას, თუ როგორ ხედავს კატარაქით დაავადებული ადამიანი — თითქოს წყლის იქით.**



კატარაქტა — ეს არის ასაკობრივი დაავადება, ამჟამად სულ უფრო ხშირად გვხვდება 40 წლის ასაკიდან. მაგრამ არის გამონაკლისებიც, რაც გამოიხატება იმით, რომ კატარაქტის მიზეზი შეიძლება იყოს სხვა რამ — ეს არის გარკვეული დაავადებანი, ტრავმები ან, მაგალითად, არახელსაყრელი ეკოლოგიური ფაქტორები.

კატარაქტის დაავადების თავიდან აცილება შეიძლება თუ: შევინარჩუნებთ ცხოვრების ჯანსაღ წესს, გვეცოდინება ჩვენი მემკვიდრეობითობა, თავს დავიცავთ თვალის შესაძლო ტრავმებისაგან. მაგრამ, სამწუხაროდ, დაავადების განვითარების შეჩერება მედიკამენტებით შეუძლებელია.

ამიტომ ოპერაციის გაკეთება რეკომენდებულია ისე, რომ არ დაველოდოთ კატარაქტის მომწიფებას და მხედველობის მნიშვნელოვან გაუარესებას. მხედველობის აღდგენასთან ბროლის ხელოვნურით შეცვლა მიგვიყვანს. ოპერაციას არ სჭირდება ხანგრძლივი რეაბილიტაცია. მაქსიმუმი, რასაც იგრძნობთ, ეს არის — შეხება.

ЗДОРОВЬЕ

## ჩვენი პრესდაიჯესტი



### „სააკაშვილი გუნდს ველარ შეინარჩუნებს!“

— ამბობს ადვოკატი შალვა ხაჭაპურიძე, — სააკაშვილს გუნდის შენარჩუნება აღარ გამოუვა. ყველა ხვდება, რომ იგი დამთავრებულია. რა გგონიათ, მერაბიშვილი სააკაშვილს გადააყოლებს თავის თავს? განზე გადგება და მიჩუმდება? პარტიაში ვინც ჰყავს, მორფინისტებია, იმათ თუ დაერევა, თორემ დანარჩენი, მორფინისტი და წამლის გამკეთებელი საქართველოში აღარ არის დარჩენილი.

„ახალი თაობა“.

### ცხვარმა ზამთარს ვერ გაუძლო და მასობრივად იხოცება

მეცხვარეთა ასოციაციის ინფორმაციით, ცხვრის საერთო სულადობა მიმდინარე სეზონზე 15-20 პროცენტით უკვე შემცირდა და ეს მაჩვენებელი ივნისამდე კიდევ გაიზრდება. მკაცრი ზამთრის გამო მარტო შირაქში, ელდარისა და სამუხის ზამთრის საძოვრებზე ცხვრის 1/4 დაიხოცა. ზარალი დიდია, საქმე ის არის, რომ ელემენტარულად ვერ მოგვარდა საკვების პრობლემა, რასაც ზამთრის სეზონისთვის დამახასიათებელი ვირუსული დაავადებები დაემატა.

„რეზონანსი“.

### რა ხდება რუსთავის თეატრში?

„დღეს რუსთავის თეატრი პატივაყრილია და შემოქმედებით კრიზისს განიცდის. პატივი მას შემდეგ აეყარა, რაც ქალაქის ხელმძღვანელობამ თეატრში ექსპერიმენტების ჩატარება განიზრახა“.

ეს არის ამონარიდი იმ საჩივრის წერილისა, რომელიც პრეზიდენტ სააკაშვილსა და ქვემო ქართლის გუბერნატორ დავით კირკიტაძის სახელზეა დაწერილი და ხელს აწერენ ჩვენი თეატრისა და კინოს ისეთი ვარსკვლავები როგორიც არიან: კახი კავსაძე, გივი ბერიკაშვილი, გურამ საღარაძე, ჯემალ ღაღანიძე, თენგიზ არჩვაძე და სხვები.

„ყველა სიახლე“.

### „მისი კოსმოსური პასპორტის მიხედვით, ივანიშვილს აქვს გონება, რომელიც გვაძლევს ნობელის პრემიის ლაურეატობის 60 პროცენტს“

— ამბობს ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი, — რასაც ახლა ფიქრობს ივანიშვილი, საზოგადოება, შეიძლება, ამის ჭეშმარიტებას ჩაწვდეს რამდენიმე წლის შემდეგ.

„საერთო გაზეთი“.

### თბილისში 5 ახალი მეჩეთი შენდება?!

სამების ტაძრის დეკანოზი მამა ელიზბარ დიაკონიძე აცხადებს: „მის ვინაობას, ვინც ეს ინფორმაცია მომაწოდა, ვერ გავამხელ, მაგრამ გეტყვით, რომ კულტურის სამინისტროში მუშაობს. მეჩეთების მშენებლობის ორგანიზატორი ყოფილი ქართველი, ახლა კი თურქეთის მოქალაქე ალი ალთუნია.

„ქართული სიტყვა“.

## კადრი



## განცხადება

სასწრაფოდ იყიდება ამაღლების ქ. №16-ში (ყოფილი დავითაშვილი) 80კვ.მ. კომერციული ფართი, გარემონტებული, სველი წერტილით, საკუთარი სათავსოთი (იყო მოქმედი მაღაზია).

ფასი შეთანხმებით.

ტ. 593 537-988, 551 480-096.

## რეკლამა

„საქართველოს რესპუბლიკაში“
29 9-62-77;
599 32-85-76.

## ანეკდოტები

**როგორ** ყალიბდება ფასები ბენზინზე:

1. როდესაც ნავთობზე ფასი იზრდება, ყველაფერი გასაგებია: რახან ბენზინი ნავთობისაგან მზადდება, ბენზინზეც უნდა გაიზარდოს ფასები.
2. როდესაც ნავთობი იაფდება, მენავთობეები იძულებული არიან, გააძვირონ ბენზინი, რათა აინაზღაურონ ნავთობის გაიაფებით გამოწვეული ზარალი.
3. როდესაც ნავთობზე ფასები სტაბილურია, ბენზინზე ფასები იზრდება, რადგან ინფლაციაა.



* * *

**თავს** უბედურად თვლი იმის გამო, რომ არაფერი გაბადია და ამიტომაც ყურადღებასაც არავინ გაქცევს? ისესხე ბევრი ფული და ისეთი ყურადღების ცენტრში აღმოჩნდები, რომ უცებ იგრძნობა, რაოდენ ბედნიერი იყავი.

* * *

**ნუ** ეძებთ იდეალურ ქალს... მე დღეს სახლიდან არ გავდივარ.

* * *

**მე** ფული არ მაღელვებს! მე იგი მაწყნარებს.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქოჩულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24